აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

მირანდა კეკუტია

ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში: მიმართვიანობა და რეაგირება

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფო ჩქოფოია

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

ივნისი 2021

თბილისი

2021

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი მირანდა კეკუტიას მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში: მიმართვიანობა და რეაგირება და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თარიღი : 25/06/2021

ხელმძღვანელი: სოფო ჩქოფოია

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

2021 წელი

ავტორი: მირანდა კეკუტია

დასახელება: „ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში: მიმართვიანობა და რეაგირება“

ფაკულტეტი: იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა

ხარისხი: საჯარო მართვის მაგისტრი

თარიღი: ___/___/___

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

_____

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

ქალთა მიმართ ძალადობა ნებისმისერი ფორმითა და გამოვლინებებით წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევას. ძალადობა ხელს უშლის ქალების სრულფასოვან განვითარებას და მათი შესაძლებლობების რეალიზებას.

წინამდებარე ნაშრომი ეხება ქალთა მიმართ ძალადობას და მის წინააღმდეგ ბრძოლისთვის აუცილებელ ღონისძიებებს საქართველოში. მიუხედავად არაერთი წინ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯებისა, ქალთა უფლებების დაცვა ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება.

ქალთა მიმართ ძალადობა არის მნიშვნელოვანი და მასშტაბური პრობლემა მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში. ქალთა მიმართ ძალადობა წლების მანძილზე ითვლებოდა, როგორც ტაბუდადებული თემა და მასზე ხმამაღლა იშვიათად საუბრობდნენ, მაგრამ ეს პრობლემა იმდენად თვალშისაცემია, რომ არსებული გენდერული უთანასწორობისა და დისბალანსის წინააღმდეგ მთელს მსოფლიოში მიმდინარეობს ბრძოლა.

ნაშრომი შედგება ორი თავისა და გვეთავებისაგან. პირველ თავში - განხილულია ძალადობის პრობლემის არსი და მნიშვნელობა. განმარტებულია ძალადობის ფორმები და იდენტიფიცირებულია მისი გამომწვევი შესაძლო მიზეზები. ჩამოთვლილია ქალთა უფლებები და მათი შესაძლებლობების სრულად რეალიზების საშუალებები.

მეორე თავში - საუბარია ქალთა უფლებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიებზე და იმ მექანიზმებზე რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციას. ასევე მოცემულია რეკომენდაციები და სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ღონისძიებები რაც აუცილებელია ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

საბოლოო კვლევის შედეგად გაკეთებულია შეჯამება და დასკვნა.

Resume

Violence against women in any form and manifestation is a violation of human rights. Violence hinders the full development of women and the realization of their potential.

This work deals with violence against women and the necessary measures to combat it in Georgia. Despite the positive steps forward in Georgia, the protection of women's rights remains a challenge.

Violence against women is an important and large-scale problem all over the world, including in Georgia. Violence against women has always been considered a taboo subject and has rarely been spoken about loudly, but the problem is so rampant that the fight against gender inequality and imbalance is ongoing around the world.

The work consists of two chapters and chapters. The first chapter discusses the essence and significance of the problem of violence. The forms of violence are explained and its possible causes are identified. Listed are the rights of women and the means to fully realize their potential.

The second chapter discusses the legislative guarantees for the protection of women's rights and the mechanisms that ensure the fight against and prevention of

violence against women in Georgia. It also provides recommendations and measures to be taken by the state to combat violence.

In the end the survey results are summarized and concluded.

შინაარსი

შესავალი 7

თავი 1. ქალთა მიმართ ძალადობის ფორმები 11

1.1. გენდერული უთანასწორობის პრობლემა ქართულ საზოგადოებაში 11

1.2. საზოგადოების დუმილი, როგორც მწვანე შუქი ქალთა მიმართ ძალადობის საქმეში 14

1.3. ქალი, როგორც სრულფასოვანი მოქალაქე და მისი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში 19

1.4. ქალთა მიმართ ძალადობის გამომწვევი მიზეზები 23

1.5. ქალთა მიმართ ძალადობის შედეგები 27

თავი 2. სახელმწიფოს პოლიტიკა ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ 32

2.1. ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენის მზარდი სტატისტიკური მაჩვენებელი და ძალადობის პრევენციის აუცილებლობა 32

2.2. ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის თეორიული მოდელები 34

2.2. გაეროს ქალთა ორგანიზაციის ჩართულობა საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციაში 36

2.3. ქალთა წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები და არსებული ხარვეზები 38

2.4. დამცავი და შემაკავებელი ორდერი, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ქალთა უფლებების დაცვის მექანიზმი 44

2.5. ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფო ვალდებულებები და სათანადო ყურადღება 46

დასკვნა 51

შესავალი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება: ქალთა მიმართ ძალადობა წარმოადგენს გლობალურ პრობლემას. მსოფლიოში ყოველი მესამე ქალი განიცდის ძალადობას ოჯახის წევრის, მეუღლისა თუ სექსუალური პარტნიორის მხრიდან.[1] ძალადობა რათქმაუნდა უარყოფითად მოქმედებს ქალის განვითარებაზე და ხელს უშლის მის სრულფასოვან ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქალთა მიმართ ძალადობის საწინააღმდეგოდ მიღებულ იქნა საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, როდესაც სახელმწიფო დგამს ამგვარ ნაბიჯს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი აღიარებს პრობლემის არსებობას და ცდილობს შეიმუშაოს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკა არსებული სამართლებრივი კრიზისის დასაძლევად.

ქალთა უფლებებისთვის ბრძოლას საქართველოში მრავლწლიანი ისტორია აქვს. ჟურნალ კვალში 1893 წელს გამოქვეყნდა პირველი ფემინისტი ქართველი

[1] https://www.unwomen.org/en/what-we-do/ending-violence-against-women

ქალის ბარბარე ჯორჯაძს წერილი, სადაც იგი ღიად საუბრობს ქალთა თანასწორობაზე და თავისუფლების აუცილებლობაზე. მას შემდეგ 120 წელიწადზე მეტი გავიდა და ჩვენ დღესაც გვიწევს საუბარი ქალთა უფლებებზე, ჯერ კიდევ მოსაპოვებელია თანასწორობა და თანაბარი უფლებები, რადგან ქალი ჯერ კიდევ საჭიროებს სათანადო დაცვას „მოძალადისგან“.

ოჯახში ძალადობა უმეტეს შემთხვევაში პირდაპირ ნიშნავს ქალთა მიმართ ძალადობას, რადგან ოჯახში ძალადობის მსხვერპლი უმრავლეს შემთხვევაში ქალია.[2] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, ქალთა დაახლოებით 70% განიცდის ძალადობას ოჯახში, ცხოვრების მანძილზე. მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით 15-44 წლამდე ასაკის ქალები უფრო მეტად ოჯახის წევრების მხრიდან ძალადობის რისკის ქვეშ არიან, ვიდრე კიბოს, ავტოკატასტროფების, ომის ან მალარიის შემთხვევების.[3]

ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილ ნებისმიერ ძალადობრივ ქმედებას.[4] საზოგადოების ნაკლები ინფორმირებულობა კიდევ უფრო ზრდის ქალების დაუცველობის ხარისხს. ქალთა უმრავლესობა რეალურად ვერ აცნობიერებს, თუ რა არის ძალადობა და არ აქვს პროტესტის გრძნობაც ზოგიერთი ფაქტის მიმართ.

ძალადობა არ არის მხოლოდ ფიზიკური შეხება, შეურაცხყოფა და მსგავსი ხასიათის ქმედება. ქალები ძალადობას განიცდიან ოჯახის წევრების მხრიდან, თუნდაც იმ კუთხით, რომ ხდება თვითნებური დაყოფა მოძალადის მხრიდან ქალისა და მამაკაცის უფლებების, სტატუსის და შესაძლებლობების მიმართულებით.

---

[2] ევროსაბჭოს კონვენცია, 2011.

[3] UN Department of Public Information, 2009.

[4] საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.

მეცნიერული სიახლე: ნაშრომში ჩვენს მიერ კომპლექსურადაა შესწავლილი საქართველოში დღეს არსებული მდგომარეობა, ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები, მიმართვიანობისა და რეაგირების კუთხით არსებოლი ხარვეზები და ძირითადი გამოწვევები.

მნიშვნელოვანია შევისწავლოთ ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო რეალობა. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია არამხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურობა, არამედ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა და მზაობა ამ პრობლემის მოგვარების საკითხებში შეიტანოს თავისი წვლილი და ხელი შეუწყოს ძალადობის მსხვერპლ ქალთა შემდგომ განვითარებას.

კვლევის აქტუალობა: ქალთა მიმართ ძალადობის თემის აქტუალობა გამოიწვია არსებულმა მდგომარეობამ, გახშირებულმა ძალადობრივმა ქმედებებმა და მათ წინააღმდეგ გატარებულმა ღონისძიებებმა. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონის გამკაცრებაც.

საქართველოს მთავრობა გმობს გენდერული ნიშნით ძალადობის გამოვლენის ნებისმიერ ფორმას. ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან და გახშირებული ფემიციდის შემთხვევების გათვალისწინებით, სახელმწიფომ დაიწყო ინტენსიური მუშაობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.[5] გენდერული თანასწორობისა და ქალების გაძლიერების კუთხით. მნიშვნელოვანია ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, რომ ქალები არ გრძნობდნენ თავს მარტო და ჰქონდეთ მეტი დაცულობის შეგრძნება.

დღესდღეობით ქალებს აქვთ შესაძლებლობა ხმამაღლა ისაუბრონ ძალადობაზე. შემუშავებულია არაერთი პროექტი ქალთა უფლებების დაცვის მიზნით,

[5] ადამიანის უფლებების საბჭოს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისიის განცხადება 2020/07/09 .

რომელიც დახმარებას უწევს ქალებს დაიცვან საკუთარი უფლებები და მოითხოვონ მოძალადის დასჯა, თუმცა აღნიშნული საკითხი მაინც პრობლემატურია ჩვენს საზოგადოებაში, რაზეც მიუთითებს ძლადობის მზარდი სტატისტიკა. მართალია დღეს ქალები ნელნელა ხმამაღლა ალაპარაკდნენ ძალადობაზე, თუმცა მხოლოდ პროტესტი არ არის საკმარის იმისთვის, რომ მათ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იგრძნონ თავი. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ჩართულობის გაზრდა ამ მიმართულებით.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობის, როგორც უდიდესი პრობლემის შესწავლა და კვლევებზე დაყრდნობით ძალადობის გამომწვევი მიზეზებისა და მათი გადაჭრის გზების ძიება.

ქალებისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო იმის ცოდნა, რომ მათ სახელმწიფო დაიცავს და დაეხმარება მოძალადისგან თავის დაღწევაში, არამედ ქალმა უნდა იცოდეს, რომ მას დაეხმარებიან შემდგომ განვითარებაში, შესაბამისი პირობების შექმნაში, რათა ისევ დაუბრუნდეს ნორმალურ ცხოვრებას. ხშირად ძალადობისაგან გათავისუფლებული, მაგრამ მარტო დარჩენილი ქალები, რომელთაც არ გააჩნიათ არც შესაბამისი განათლება, თავშესაფარი, არც დასაქმების და შესაბამისად საკუთარი თავის შენახვის შესაძლებლობა ისევ უბრუნდებიან ძველ გარემოს, ან ხდებიან სხვა მოძალადის მსხვერპლნი. სწორედ ამიტომ არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სახელმწიფოს ჩართულობა მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის მიმართულებით.

კვლევის მეთოდები ნაშრომზე მუშაობის პერიოდში გამოყენებულ იქნა შედარებითი მეთოდი, რამაც მოგვცა შესაძლებლობა, ერთმანეთისთვის შეგვედარებინა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევების დღემდე არსებული მდგომარეობა და განგვესაზღვრა რამდენად რეალური ან მზარდია საფრთხე ამ მიმართულებით, ასევე მიზნობრივი შერჩევის მეთოდი და აღწერილობითი, იგივე დესკრიფციული მეთოდი.

თავი 1. ქალთა მიმართ ძალადობის ფორმები

1.1. გენდერული უთანასწორობის პრობლემა ქართულ საზოგადოებაში

საუკუნეების მანძილზე დარღვეული გენდერული თანასწორობის აღდეგენას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სხვადასხვაგვარად ცდილობენ. ეს საკითხი აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც საყოველთაოდ იქნა აღიარებული მსგავსი თანასწორობის უარყოფითი შედეგები. საქართველოში მდგომარეობა ამ მიმართულებით არც თუ ისე სახარბიელოა, რადგან კავკასიური მენტალობიდან გამომდინარე გარემო უფრო პატრიარქალურია. სწორედ ამიტომ უამრავი ღონისძიებაა გასატარებელი საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით, რაც საკმაოდ პრიორიტეტული საკითხია.

გენდერში იგულისხმება არა მხოლოდ ქალისთვის ან მამაკაცისთვის დამახასიათებელი თვისებები, არამედ ქცევის აზროვნების და ქმედებების ისეთი ფორმები, რომელსაც საზოგადოება აწესებს ქალისა და მამაკაცისთვის. გენდერი კულტურაში სოციალური ცხოვრების ერთგვარ ცენტრალურ მაორგანიზებელ პრინციპად გვევლინება. [6]

საზოგადოებაში გენდერის როლი განსაზღვრულია სოციო-კულტურული ნორმებით, ჩამოყალიბებულია გარკვეული ქცევის ფორმები, რომლებიც მიჩნეულია მასკულანურად და ფემინურად. თუ გენდერული თანასწორობა ჩვენთვის სასურველია და მუდმივი ბრძოლები გვაქვს გამართული ამ თანასწორობის მოსაპოვებლად, მაშინ დავიწყოთ იმით, რომ ვაღიაროთ გენდერული უთანასწორობა პრობლემად.

უთანასწორობას, როგორც პრობლემას ღრმა ფესვები გააჩნია და ის ჩვენივე წარსულიდან, ისტორიიდან, აღზრდიდან და ოჯახიდან მომდინარეობს. უთანასწორო დამოკიდებულების მიზეზი არ შეიძლება მხოლოდ საზოგადოება ან მამაკაცები იყვნენ,

---

[6] ელენე ჯაფარიძე, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება საქართველოში ქალთა ორგანიზაციის მიერ, 2012.

უთანასწორობას ბადებს თავად ქალის მიდგომა საკუთარი თავისა და შესაძლებლობების მიმართ, ხშირად ქალები თავად ქმნიან იმ მოჯადოებულ წრეს, სადაც მთავარი გამართლება ქალის სისუსტე, უიღბლობა, „რას იტყვის ხალხი“ და კიდევ უმარავი მავნებლური ფიქრი იწვევს. ქალების უმრავლესობას უჭირს ამ სტიგმის გარღვევა, ისინი იჯერებენ, რომ არიან სუსტები, რომ უნდა იყვნენ მამაკაცებზე დამოკიდებულები, რომ მამაკაცი დომინანტია და რომ ეს ასე იყო ოდითგანვე.

სინამდვილეში კი თანამედროვე სამყაროში, სადაც არსებობს უმარავი მექანიზმი, სადაც არსებობს კანონი და სახელმწიფოს პოზიტიური ჩართულობა გენდერული უთანასწორობის პრობლემის მოგვარების საკითხებში, ქალებს არ უნდა ჰქონდეთ ასეთი დამოკიდებულება, უნდა გააჩნდეთ მეტი შესაძლებლობების გააზრების საშუალება. თუმცა ყოველივე ეს მოდის ქალის ნაკლები განათლებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები უკვე დიდი ხანია საუბრობენ ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე და ქალები ვიბრძვით საკუთარი თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობებისთვის, საქართველო კვლავ რჩება პოატრიარქალურ ქვეყნად, სადაც დომინანტური პოზიცია მამაკაცებს უჭირავთ. მამაკაცები ქალს მის დაქვემდებარებაში მყოფ არსებებად მიიჩნევენ, რომელიც უნდა იყოს დამთმობი, ამტანი, ნაზი და ამავე დროს აიტანოს შეურაცხყოფა, არაჯანსაღი დამოკიდებულება მეუღლისა თუ პარტნიორის მხრიდან. აქ საუბარი არ არის ქალებისა და მამაკაცების აბსოლუტურ უმრავლესობაზე, მაგრამ ქართულ საზოგადოებაში თანასწორობის გაგება ნამდვილად არ არის ბოლომდე გააზრებული და შესაბამისად არც დამოკიდებულება არის ჯანსაღი და ერთგვაროვანი.

გენდერულ თანასწორობაზე საუბრისას მუდმივად იყოფა საზოგადოების აზრი. როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს ქალების ნაწილი აღნიშნავს, რომ არ არის საჭირო ქალი და კაცი ყველა საკითხში თანასწორი იყოს. განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება ქალისა და მამაკაცის ფუნქციების შესახებ ქართულ ტრადიციულ წარმოდგენას. ასეთი დამოკიდებულების ასახსნელად და არგუმენტად ქალების

უმრავლესობას მოჰყავს ის გარემოება, რომ არ არის საჭირო ხშირ შემთხვევაში ქალისა და მამაკაცის განსხვავებული ბუნების უგულებელყოფა. აქ სავარაუდოდ საქმე გვაქვს გენდერული თანასწორობის არასწორ გაგებასთან. ადამიანთა ნაწილს გენდერული თანასწორობა გაგებული აქვს არა, როგორც ქალისა და მამაკაცის თანასწორი შესაძლებლობები და უფლებების ქონა, არამედ ქალისა და კაცის ტრადიცილული ფუნქციების აღრევა და ქალურობისთვის თუ მამაკაცურობისთვის შეუფერებელი ქცევის მოდელების დამკვიდრება.[7]

გენდერული უთანასწორობის მრავალი დამადასტურებელი ფაქტი შეგვიძლია გამოვავლინოთ ქართულ საზოგადოებაში, მაგალითად ის ფაქტი, რომ ქალები არინ უმცირესობაში საკანონმდებლო ორგანოში, ქალები ნაკლებად არიან დასაქმებული მმართველობით პოზიციებზე და რაც ყველაზე თვალშისაცემია ანაზღაურებაც მამაკაცებზე დაბალი აქვთ.

შრომის ბაზარში ჩრთულობა წარმოადგენს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მნიშვნელოვან ფაქტორს. შესაბამისი სამუშაო ძალის მონაწილეობის სტატისტიკური მაჩვენებელის მიხედვით ბოლო 10 წლის განმავლობაში მამაკაცებისთვის შეადგენდა -62-67%, ხოლო ქალებისთვის 42-46%, რაც შრომის ბაზარზე არსებულ მნიშვნელოვან გენდერულ უთანასწორობაზე მეტყველებს. რაც შეეხება შრომის ანაზღაურებას კვლევებით დასტურდება რომ ქალები იღებენ მამაკაცთა საშუალო თვიური ხელფასის ორ მესამედზე ნაკლებს. [8]

---

[7] კვლევის ანგარიში, საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში, გამოცემულია გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ფინანსური მხარდაჭერით, თბილისი 2013.

[8] ქალი და კაცი საქართველოში, სატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი 2020.

1.2. საზოგადოების დუმილი, როგორც მწვანე შუქი ქალთა მიმართ ძალადობის საქმეში

ქალთა მიმართ ძალადობას მრავალი მაპროვოცირებელი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. მათ შორის არის ოჯახური გარემო და აღზრდის მეთოდები, რომლებსაც იყენებენ მშობლები ბავშვის აღზრდისას. ოჯახში, სადაც ძალადობრივი გარემოა და ბავშვი უნებლიე მოწმე ხდება ძალადობის ან თავად არის ძალადობის მსხვერპლი მშობლების მხრიდან, უმრავლეს შემთხვევაში თავის ზრდასრულ ცხოვრებაში იქნება მოძალადე. მის გონებაში ილექება პრობლემის მოგვარების ძალადობრივი მეთოდი, მითუმეტეს თუ მას კონფლიქტის გადაჭრის სხვა მეთოდი არუნახავს, თუ მას აღზრდის პროცესში მშობელმა არ მისცა ოჯახში სტაბილურობის შენარჩუნების ჰუმანური მაგალითები, რა თქმა უნდა ერთადერთ სწორ გამოსავლად ძალადობას აღიქვამს და უკვე თავად გვევლინება, როგორც მოძალადე.

ძალადობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც „ითვალისწინებს“ მსხვერპლი, იმ საზოგადოების, რომლის ნაწილიც თავად ვართ. საზოგადოების აზრის გათვალისწინება ხშირად ხელს უშლით ძალადობის მსხვერპლ ქალებს მიმართონ სამართალდამცავ ორგანოებს და თავი დაიცვან მოძალადისაგან. ქალების 80% ს ეშინია, რომ ხალხი მას გაკიცხავს, ქმრის ნათესავები უსაყვედურებენ ან თუნდაც საკუთარი ოჯახი დაგმობს, იმის გამო, რომ მასსა და მეუღლეს შორის ან მასსა და ოჯახის წევრს შორის კონფლიქტის დასარეგულირებლად სამართალდამცავი ორგანოების ჩარევა გახდა საჭირო. ეს მიდგომა ამცირებს მიმართვიანობას ძალადობის შემთხვევების დროს და თუ მაინც გაბედა მსხვერპლმა და მოითხოვა სახელმწიფოსგან დაცვა ბოლოს 100 დან 90 შემთხვევაში უკან მიაქვს თავისი საჩივარი, ეგუება ძალადობას და აგრძელებს იგივე ძალადობრივ გარემოში ცხოვრებას.

რა შეიძლება გააკეთოს ამ დროს სახელმწიფომ, როცა ძალადობის მსხვერპლი ქალი დუმს და არ აპირებს მიმართვას? მნიშვნელოვანია საზოგადოებაში

ისეთი ცნობიერი მარცვლის გაღვივება. მსხვერპლმა და მოძალადემაც უნდა იცოდეს, რომ ძალადობა დასჯადი ქმედებაა და მიმართვიანობის მიუხედავად მოძალადეს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ ის დაისჯება. თუ მსხვეპლი ქალი არ მიმართავს სამართალდამცავ ორგანოს ძალადობის მოწმე ნებისმიერმა ადამიანმა უნდა გააკეთოს ეს და უნდა აგრძნობინოს მოძალადეს, რომ მსხვერპლი მარტო არ არის. ძალადობის მსხვერპლი ქალები ცალკე მდგომი საზოგადოების რაღაც შტო კი არა საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არიან. სწორედ ამ საზოგადოებისთვის არის საშიში ყველა მოძალადე, რომელიც დღეს თავის ოჯახის წევრზე ძალადობს ადრე თუ გვიან, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემა აუცილებლად იძალადებს ნებისმიერ ადამიანზე.

საზოგადოების აზრი თუ ერთიანია და თუ საზოგადოების ყველა ნაწილი ძალადობას აღიქვამს ძალადობად და მას რაიმე სახის ახსნას არ მოუძებნის ან ოჯახის შიდა ჩარჩოებში არ მოაქცევს, მაშინ თავის დაღწევის და ძალადობის აღმოფხვრის გზების ძიებაც ერთიანი ძალებით უფრო მარტივი იქნება.

ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს ხანგრძლივ და ეტაპობრივ პროცესს და მთლიანად საზოგადოება უნდა იყოს ჩართული ამაში. სახელმწიფოს მკაცრი პოლიტიკა აუცილებელია, რადგან სახელმწიფომ უნდა იზრუნოს არამხოლოდ საზოგადოების ახალგაზრდა ნაწილის განათლებისა და განვითარების ხელშეწყობაზე, არამედ ზრდასრული და ხანდაზმული მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებაზეც. მანკიერი ტრადიციებისა და ძალადობრივი გარემოს ფონზე აღზრდილი თაობებისთვის მათთვის გასაგებ ენაზე უნდა იქნას მიწოდებული ინფორმაცია ძალადობის შესახებ და საზოგადოების ამ ნაწილმა უნდა შეძლოს გაცნობიერება თუ რას მივიჩნევთ ძალადობად. სწორედ ცნობიერების ამაღლება იქნება მნიშვნელოვანი ბიძგი ძალადობის შემცირების საქმეში.

ქალთა მიმართ ძალადობის მაპროვოცირებელი ფაქტორი არის საზოგადოების დუმილი ან არაჯანსარი შეფასებები ძალადობის ფაქტის შესახებ. ასეთი რა დააშავა ასე რომ გაიმეტეს? არის ასეთი შეფასებები ქალთა მიმართ

ძალადობის შემთხვევების დროს და ეს უკვე შეცდომაა აზროვნებაშივე. ასეთი შემფასებელი თავიდანვე აკეთებს დაშვებას, რომ ქალმა შეიძლება რაღაც ისეთი დააშავოს, რის გამოც შეიძლება სრულიად ლოგიკურად გაუსწორდნენ მას ფიზიკურად ან უკიდურეს შემთხვევაში სიცოცხლე მოუსპონ. სწორედ ასეთი მიდგომა არის ძალადობის წახალისება. საზოგადოება უნდა იყოს ცალსახა და ერთგვაროვანი იმის შესახებ, რომ ნებისმიერი არაჯანსაღი დამოკიდებულება არის ძალადობა ქალების მიმართ და მას არ შეიძლება ქონდე რაიმე სახის საფუძველი, რომელიც ამ ქმედებას ახსნის და მით უფრო გაამართლებს.

„გულგრილობის ვირუსი კლავს“, ასეთი სახელწოდებით წამოიწყო გაეროს ქალთა ორგანიზაციამ ახალი ონლაინ კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს ქალთა მიმართ ძალადობის საერთო პრობლემად აღიარებას. კამპანია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი გლობალური აქტივიზმის ნაწილია, მის ფარგლებში ცნობიერების ასამაღლებელ ვიზუალურ მასალებეთან ერთად, შეიქმნა 4 აუდიოპიესა, რომელთა ავტორებიც ქართველი მწერლები ნესტან ნენე კვინიკაძე და ლაშა ბუღაძე არიან. პიესებში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სახვადასხვა ფორმა რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სცენებითაა აღწერილი[9].

საქართველოს მოსახლეობის 41% ფიქრობს, რომ ოჯახში ძალადობა ოჯახის საქმეა. ამ კამპანიის მთავარი მიზანი სწორედ ამ დამოკიდებულების შეცვლაა საზოგადოებაში. კამპანია პროექტის „ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საქართველოში“ და ემსახურება ქალთა მიმართ ძალადობის შესამცირებლად საჭირო პოლიტიკის შემუშავებასა და კანონმდებლობის გამართვას.

საკმარისი ინფორმაციის არქონა და საკუთარი უფლებების არ ცოდნა აფიქრებინებთ ქალებს, რომ მათ მიმართ ძალადობა პირადული საკითხია. 2010 წელს ჩატარებული „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების კვლევის“ თანახამად მონაწილე ქალების 78.3% - მა, რომელთა უმრავლესობა სოფლად

[9] გაეროს ქალთა ორგანიზაციის ონლაინ კამპანია - „ გულგრილობის ვირუსი კლავს“, (აღინიშნება 1990-იანი წლებიდან).

მცხოვრები ქალები იყვნენ, დააფიქსირეს, რომ ოჯახური პრობლემები მხოლოდ ოჯახის შიგნით უნდა განიხილებოდეს, ხოლო 52.1%-ის აზრით ქალის მიმართ შეურაცხყოფა არ უნდა იყოს გარეშე პირების და საზოგადოების განხილვის საგანი, მასში საზოგადოება არ უნდა ერეოდეს.[10] ასეთი სტატისტიკა ნათლად წარმოაჩენს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის აღქმა ჯერ კიდევ მოქცეულია „ოჯახის" ჩარჩოებში. ოჯახის სახელით ძალადობის გამართლება, დამალვა, წაქეზება, გულრილი დამოკიდებულება სტიმულს აძლევს მოძალადეს.

ქალთა მიმართ ძალადობა ქართული საზოგადოებისთვის ტაბუდადებული თემაა და საზოგადოების დიდი ნაწილი ისე იქცევა თითქოს ძალადობა მათ არ ეხებათ და არასოდეს შეეხებათ. ადამიანების უმრავლესობას არათუ ნულოვანი პროტესტის გრძნობა აქვს ძალადობის ფაქტების მიმართ, არამედ არც კი საუბრობენ ამაზე. ასეთი საზოგადოება ბუნებრივია ვერანაირ დახმარებას ვერ გაუწევს ძალადობის მსხვერპლ ქალებს.

არაჯანსაღია თავად ქალების დამოკიდებულება ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობაზე. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის ეროვნული კვლევაში ქალ რესპოდენტებს დაუსვეს რამდენიმე შეკითხვა, რათა გამოევლინათ მათი დამოკიდებულება ძალადობის ფაქტების მიმართ. თუ გვეცოდინება, როგორ უმკლავდებიან რესპოდენტები ძალადობის ფაქტებს საშუალება გვექნება ვიწინასწარმეტყველოთ მათი რეაქცია ძალადობაზე.ქალტა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევის თანახმად, რომელიც 2010 წელს ჩატარდა ქალთა 78.3%-ს მიაჩნია, რომ ოჯახური პრობლემები მხოლოდ ოჯახში უნდა განიხილებოდეს, 52.1% ფიქრობს, რომ თუ ოჯახში მამაკაცი მეუღლეს ცუდად ექცევა

[10] ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, თბილისი 2010.

ამაში ოჯახის სხვა წევრები არ უნდა ჩაერიონ. ქალთა 30.7% ფიქრობს, რომ ოჯახში ძალადობა არის პირადული საკითხი და მასში კანონის ჩარევა დაუშვებელია.[11]

საქართველოში „პატრონის“ ცნება აძლიერებს უთანასწორო გენდერულ ნორმებს. ქართული გაგებით „პატრონი“ არის ქალისთვის უახლოესი მამაკაცი ნათესავი, ძმა, ოჯახის წევრი, რომელიც ქალზეა პასუხისმგებელი და დგას ქალის ღირსებისა და უსაფრთხოების სადარაჯოზე. ქალის რესპექტაბელურობა მისი „პატრონი“ მამაკაცის სიძლიერიდან გამომდინარე ფასდება და ასეთი მამაკაცის გარეშე ქალი ნაკლებ პატივსაცემ არსებად აღიქმება. შესაძლოა ქალები, რომლებიც ე.წ. პატრონის გარეშე ცხოვრობენ ასევე არიან ძალადობის მსხვერპლნი არაოფიციალური პარტნიორის მხრიდან, მაგრამ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ასეთი „პატრონები“ დროთა განმავლობაში მხარდაჭერის, თანადგომისა და დაცვის ნაცვლად თავად ხდებიან ქალების მიმართ მოძალადეები.

წლების განმავლობაში გატარებულმა ღონისძიებებმა, საჯარო გამოსვლებმა და ქალთა მიმართ ძალადობის თემის წინ წამოწევის მცდელობებმა მეტნაკლებად შედეგი გამოიღო. საზოგადოება ბოლო ათი წელია უფრო მეტად ინფორმირებულია, ვიდრე აქამდე იყო. გაზრდილია იმ ადამიანების რიცხვიც ვინც ოჯახში ძალადობის ფაქტზე სამართალდამცავ ორგანოებს მიმართავს. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებამ გამიჯნა რა არის ძალადობა და რა არა, რა უნდა დარჩეს ოჯახში და რისი გამოტანა არის აუცილებელი სააშკარაოზე. ქალების ნაწილს წარმოდგენა შეექმნა საკუთარ უფლებებზე, მათ გაიაზრეს, რომ მარტო არ არიან და სახელმწიფო, კანონი მათ მხარეს არის. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის კუთხით კიდევ ბევრი რამ არის დასახვეწი ქალების დაცვის საქმეში უამრავი წინ გადადგმული ნაბიჯი გვაქვს.

საერთაშორისო და აგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, მთავრობისა და სხვადასხვა მხარის მიერ საზოგადოების ინფორმირებულობის

[11] ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, თბილისი 2010.

ასამაღლებლად გატარებული ღონისძიებები თანდათან იწვევს ქალის ქცევისა და დამოკიდებულებების ცვლილებას, თუმცა ქალთა მიმართ ძალადობა მაინც რჩება ჩვენი დროის ერთ ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად, რომელსაც ქართული საზოგადოება აუცილებლად უნდა გაუმკლავდეს. კიდევ უფრო ეფექტურად უნდა იქნეს გამოყენებული ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც წლების განმავლობაში დაგროვდა ამ მიმართულებით. [12]

1.3. ქალი, როგორც სრულფასოვანი მოქალაქე და მისი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში

გლობალური თუ ნაციონალური უსაფრთხოების, მშვიდობისა და სამართლიანობის მიღწევის საწინდარი არის პოლიტიკურ ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ქალების სრულფასოვანი ჩართულობა[13]. ქალები თანაბრად უნდა მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს განვითარებაში ვინაიდან მათ ნამდვილად გააჩნიათ შესაძლებლობა სამყარო უკეთესობისკენ შეცვალონ.

კაცობრიობის ისტორიას თუ გადავხედავთ ქალებს მუდმივად ჰქონდათ მთელი რიგი უფლებრივი შეზღუდვები და ნაკლები შესაძლებლობა განვითარებისთვის. ქალის მთავარი მოვალეობა იყო ოჯახის შექმნა, შვილების აღზრდა და „მეუღლის მსახურება“.

დღეს, როდესაც ქალს შეუძლია აკონტროლოს შობადობა, ადამიანებს არ უწევთ ცხოველებისგან დაცვა და თავის გადასარჩენად, გამოსაკვებად ნადირობა, გენდერული როლების ძველებური დანაწილებაც აზრს კარგავს.[14] უამრავი ქალი

---

[12] https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2016/02/public-attitudes-towards-domestic-violence-in-georgia---trends-at-a-glance

[13] მოჰანი.ვ,რაიანი.კ,ბაიბლერი,ს. გენდერული თანასწორობა დასაარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოები. საუკეთესო გამოცდილების საღელმძღვანელო.2014.

[14] სამოქალაქო განათლება ყველასთვის, გენდერული როლები და ადგილი ოჯახში. https://www.civiceducation.ge/ka/lessons/4-38

თავად იღებს გადაწყვეტილებებს განათლების, ოჯახის შექმნისა თუ სექსუალური პარტნიორის არჩევის პროცესში. ქალებს უფლებების ზრდასთან ერთად მიეცათ განვითარების შესაძლებლობა და განვითარებამ, განათლებამ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობამ ქალს მოუტანა მეტი დამოუკიდებლობა.

საქართველოში ქალებმა მსოფლიოში ერთერთმა პირველებმა მოიპოვეს ხმის მიცემის უფლება. ეს იყო 1918 წლის 22 ნოემბერს, როდესაც საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა კანონი - „დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა. კანონი თავისი შინაარსით ძალიან პროგრესული იყო, რომლის პირველ მუხლშიც ვკითხულობთ: „დამფუძნებელ კრებას შეადგენენ წევრები, არჩეული მცხოვრებთა მიერ საყოველთაო - განურჩევლათ სქესისა, - თანასწორის, პირდაპირის და ფარულის ხმის მიცემით პროპორციული წარმომადგენლობის წესისამებრ“.[15]

2015 წელს საქართველოში ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა, რომელსაც უნდა განესაზღვრა ქალის გენდერული როლი საზოგადოებაში. კვლევის შემაჯამებელ დასკვნაში ვკითხულობთ, რომ რესპოდენტების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ მოქცეულია წარსულის მანკიერი სტერეოტიპების გავლენის ქვეშ, ისინი ჯერ კიდევ ყოფენ საქმეს კაცის და ქალის საქმედ და პროფესიებს მამაკაცურ და ქალურ პროფესიებად, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ დიდი შრომაა გასაწევი ამ სტერეოტიპების დასანგრევად. კვლევამ აჩვენა, რომ რესპოდენტების აზრით უმაღლესი განათლება პირდაპირ კავშირშია ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობასთან, და რომ ფინანსურად ძლიერი ოჯახის ორივე სქესის წარმომადგენელს თანაბრად ეძლევა განათლების მიღების საშუალება, ხოლო დაბალი ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე ოჯახებში განათლების მიღების უპირატესობა მამაკაცებს ენიჭებათ. ეს იმას ნიშნავს, რომ წარსულში არსებული ტენდენცია ჩაანაცვლა

[15]ელექტრონული ჟურნალი,საქართველოს ახალია ამბების სააგენტო, პოლიტიკა, 2019, 8 მარტი.

ეკონომიკურმა სტრატიფიკაციამ და რეალურად ქალი მაინც არამომგებიან პოზიციაში იმყოფება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი (ცვლილებები დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წელს) და კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ უზრუნველყოფს ქალებისთვის და კაცებისთვის თანაბარ უფლებებს და შესაძლებლობებს, ასევე აღიარებს განსაკუთრებული ზომების მიღების აუცილებლობას ქალებსა და კაცებს შორის არსებითი თანასწორობის მისაღწევად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.[16] თანასწორობა არ ნიშნავს, რომ ქალი და მამაკაცი იდენტური უნდა გახდნენ, თანასწორობა ნიშნავს, რომ ადამიანის სქესი არ განსაზღვრავს ადამიანის უფლებებს და ადგილს საზოგადოებაში.

საქართველოს კანონმდებლობას თუ გადავხედავთ თითქოს ყველაფერი რიგზეა ქალისა და მამაკაცის უფლებების მხრივ, ორივეს თანაბარი უფლებები აქვთ. თუნდაც კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, რომელიც ქალსა და მამაკაცს თანაბარ პირობებში აქცევს, მაგრამ დამკვიდრებული სტერეოტიპები მაინც დიდ გავლენას ახდენს გენდერულს ბალანსზე ნებისმიერ სფეროში მთელი ქვეყნის მასშტაბით. თუ გადავხედავთ სტატისტიკას 2019 წლის მონაცემებით საჯარო სამსახურში პროფესიულ საჯარო მოხელის თანამდებობებზე (I,II,III,VI რანგი) დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეების ჩათვლით ასე გამოიყურება: 69.5% კაცი, 30.5% ქალი[17]. ეს სტატისტიკა შეიძლება ჩაითვალოს საგანგაშოდ იმის გათვალისწინები, რომ საჯარო სამსახური უფრო კარგ პირობებს სთავაზობს დასაქმებულებს, აქ სახელფასო პოლიტიკა კანონით რეგულირდება და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას არ აქვს ადგილი.

ქალების უმრავლესობა დასაქმებულია კერძო სექტორში და ქმნიან ეკონომიკურ კეთილდღეობის ძირითად ნაწილს. დასაქმებული მამაკაცების დიდი

[16] ქალი და კაცი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი, 2019.

[17] სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს 2019 წლის საქმიანობის ანგარიში.

ნაწილი კი საჯარო სექტორზე მოდის და მათი ხელფასი მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადებით ფინანსდება, შესაბამისად ამ სფეროში არ იქმნება ეკონომიკური დოვლათი.[18] ქალები იღებენ მამაკაცთა საშუალო თვიური ხელფასის ორ მესამედზე ნაკლებს. ბოლო 10 წლის განმავლობაში ეს თანაფარდობა საკმაოდ სტაბილური რჩება და არ განიცდის ცვლილებას[19]. რაც იმას ნიშნავს, რომ გენდერული სხვაობის შემცირება არც თუ ისე თვალშისაცემია. საქართველოში ჯერ კიდევ მართავს რაღაც უხილავი ხელი გენდერულ ბალანსს და ქალების მდგომარეობას უფლებრივ თუ შესაძლებლობების დონეზე მაინც მამაკაცებზე დაბლა აყენებს, ეს უხილავი ხელი შეიძლება იყოს, როგორც სტეროტიპები, გავრცელებული აზრი ქალისა და მამაკაცის უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ, ასევე ის არასწორი შეფასებები ქალების უნარებზე, რომლებიც ქალებს მამაკაცების დაქვემდებარებაში მოიაზრებს და უამრავი არასწორი მიდგომა, რასაც მრავალად ვხვდებით ქართულ საზოგადოებაში და რაც ნამდვილად ხელს უშილის ქალების საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ქცევას.

უახლესი კვლევებიდან ერთ-ერთი საინტერესო კვლევა ჩატარდა 2020 წელს: „კაცები ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში“: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება, კვლევის ანგარიში ეფუძნება საერთაშორისო კვლევის „კაცები და გენდერული ურთიერთობები“ მეთოდოლოგიას და განხილულია რესპოდენტების მხრიდან აღქმისა და ქცევის დინამიკა 2013 წლიდან.

კვლევის ანგარიშიდან ირკვევა:

- ქალების 63% და კაცების 54% მიიჩნევს, რომ საქართველომ ჯერ ვერ მიაღწია გენდერულ თანასწორობას;
- საქართველოში ქალებს მეტი დაბრკოლების გადალახვა უწევთ კარიერაში, ვიდრე კაცებს;

---

[18] პატარაია.ლ. FORBES georgia. ქალების როლი ეკონომიკაში - თანამედროვე ტენდენციები, თებერვალი 2014.

[19] ქალი და კაცი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია. თბილისი.2020.

- საქართველოს მოსახლეობოს 48% მიიჩნევს, რომ ქალის მთავარი მოვალება ოჯახზე ზრუნვაა და არა კარიერული განვითარება ან დასაქმება პროფესიით;
- საქართველოში კაცების ¾ მიიჩნევს, რომ მათთვის მისაღები იქნებოდა ქალი უფროსი რომ ყოლოდათ სამსახურში;
- საქართველოს მოსახლეობის 60% თვლის, რომ ქალების ჩართვა პოლიტიკაში ქვეყანას სიკეთეს მოუტანს;
- საქართველოს მოსახლეობის 39% თვლის, რომ კაცები ქალებზე უკეთესი ბიზნეს ლიდერები არიან.

ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ საქართველო ჯერ კიდევ იმყოფება გენდერული დისბალანსის მდგომარეობაში და აქ ქალებს არ ეძლევათ თანაბარი შანსი გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები ნებისმიერ სფეროში. ცხადია უთანასწორო დამოკიდებულება ქალების როლის, მათი უნარებისა და ლიდერობის მიმართ და ეს დამოკიდებულება უცვლელი დარჩება სანამ ქართული საზოგადოება გენდერულ სტერეოტიპებს არ დაარღვევს.

1.4. ქალთა მიმართ ძალადობის გამომწვევი მიზეზები

ქალთა მიმართ ძალადობა ქართულ საზოგადოებაში დაუმარცხებელ, აღმოუფხვრელ პრობლემად გვევლინება. ქალთა მიმართ ძალადობას ღრმა ფესვები აქვს საქართველოში. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ პატრიარქალურ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, ქალთა მიმართ ძალადობა ერთგვარი გავრცელებული პრაქტიკაა და ხშირად უფლებების და შესაძლებლობების ასეთი არათანაბარი გადანაწილება საბოლოოოდ ძალადობრივ სურათს ქმნის. ძალადობას გააჩნია მთელი რიგი გამომწვევი ფაქტორები რისი დადგენაც ძალიან მნიშვნელოვანია ძალადობასთან საბრძოლველად. მნიშვნელოვანია სიღრმისეულად იქნეს

შესწავლილი ძალადობის გამომწვევი მიზეზები და შემუშავდეს ძალადობის, როგორც უდიდესი პრობლემის მოგვარების სტრატეგიები.

ძალადობას მხოლოდ ერთი მიზეზი ვერ ექნება, ეს არის რამდენიმე მიზეზის ერთობლიობა და მათი ურთიერთკავშირით დამდგარი შედეგი, რაც საბოლოოდ ქმნის ადამიანისგან მოძალადეს.

ქალები ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან ოჯახის წევრების, მეუღლისა თუ სექსუალური პარტნიორის მხრიდან. ძალადობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ რას მივიჩნევთ ძალადობად. ძალადობა არის ნებისმიერი სახის იძულება, აგრესია, შევიწროვება, უფლებების უგულებელყოფა, ჩაგვრა და მრავალი სხვა რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ქალის ჯანმრთელობას და ხელი შეუშალოს მას სრულფასოვან ცხოვრებაში.

ქალთა მიმართ ძალადობას შეიძლება ჰქონდეს ისტორიული მიზეზები, რაც ჩვენს საზოგადოებაში გავრცელებულ სტერეოტიპებს ეხება. მაგალითად ის, რომ ქალი მამაკაცზე დაბლა დგას, ქალს მამაკაცზე ცოტა შეუძლია, ქალი „სუსტი სქესის“ წარმომადგენელია, მამაკაცები უფრო ჭკვიანები არიან, ვიდრე ქალები და ასე შემდეგ. ისეთი შეხედულებების არსებობა, რომლებიც წლებთან ერთად არ იცვლება საზოგადოებას არ აძლევს საშუალებას სხვაგვარად შეხედოს ამ საკითხს და მამაკაცები, რომლებიც ასეთ საზოგადოებაში იზრდებიან რათქმაუნდა თავად ხდებიან მოძალადეები. „ზოგადად სტერეოტიპების შექმნა ადამიანის ბუნებისთვის დამახასიათებელია. ეს არის ის გზა, რომლის მეშვეობითაც ადამიანების გარკვეული კატეგორიებისთვის და ჯგუფებისთვის მიკუთვნებას ვახორციელებთ, რასაც ხშირად ქვეცნობიერად ვაკეთებთ, ნაწილობრივ იმისთვის, რომ ჩვენს გარშემო არსებული სამყარო უფრო მარტივად წარმოვაჩინოთ“.[20]

---

[20] რ. კუკი და ს. კიუზაკი, გენდერული სტერეოტიოპებიოს ჩამოყალიბება: ტრანსნაციონალური სამართლებრივი პესპექტივები, პენსილვანიის უნივერისტეტის გამომცემლობა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბაზაზე არსებული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პრევენციის ალიანსი (VPA) ძალადობის გამომწვევი ფაქტორების დასადგენად ძირითადად ეკოლოგიურ მიდგომას იყენებს. ამ მოდელის თანახმად არ არსებობს ძალადობის გამომწვევი მხოლოდ ერთი კონკრეტული მიზეზი, ძალადობის გამომწვევ მიზეზებს ურთიერთკავშირში ქმნიან ინდივიდი, თემი, ურთიერთოვბები და სოციუმი.[21] ეს მიდგომა ძალადობის გამომწვევი მიზეზების დადგენაში გვეხმარება და საშუალებას გვაძლევს შევიმუშაოთ ამ მიზეზებთან ბრძოლის სტრატეგიები.

ძალადობის მაპროვოცირებელ ფაქტორებს შორის არის ფინანსური დამოუკიდებლობა, ქალთა ის ნაწილი, რომლებიც არ არიან დასაქმებულები და მხოლოდ სახლის საქმეებითა და ბავშვების მოვლით არიან დაკავებული რათქმაუნდა არ არიან ფინანსურად დამოუკიდებელნი. ხშირ შემთხვევაში ასეთი ქალები თვლიან, რომ დომინანტი არის მამაკაცი, თუნდაც მისი ფინანსური დამოუკიდებლობიდან გამომდინარე და ქალი არის მასზე დაქვემდებარებული. ასეთ სიტუაციაში თუ ქალი ხდება აგრესიის, იძულების, ჩაგვრის ბულინგის და სხვა მრავალი ძალადობრივი ქმედების ობიექტი ის ამას თმობს, არ აქვს პროტესტის გრძნობა, ან თუ აქვს იმიტომ დუმს,რომ არ გააჩნია საკმარისი რესურსი დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის.

ქალთა მიმართ ძალადობის მაპროვოცირებელი ფაქტორები შეგვიძლია დავყოთ: ინდივიდუალურ, პირად ურთიერთობებთან დაკავშირებულ და საზოგადოებასთან დაკავშირებულ ფაქტორებად.

ინდივიდუალური ფაქტორებია ნაადრევი ქორწინება, ოჯახში ძალადობა, განათლების დაბალი დონე. პირად ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტორებია ურთიერთობები მეგობრებთან, ოჯახთან, სექსუალურ პარტნიორთან. რაც შეეხება თემთან და საზოგადოებასთან დაკავშირებულ ფაქტორებს ეს არის სოციალური ეკონომიკური პოლიტიკა, საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ერთგვარი წახალისებაც

[21] ასლანიშვილი, თ. ქალთა მიმართ ძალადობა, მოქმედი ფაქტორები და არსებული გამოწვევები.თბილის 2019.

შეიძლება იყოს მოძალადისთვის და დაუსჯელობის განცდას ბადებს მასში, თავად ძალადობის ობიექტ ქალებს კი დაუცველობის შეგრძნებას უღვიძებს, რაც საბოლოოდ მსხვეპლად აქცევს მათ.

მამაკაცის, როგორც მოძალადის ჩამოყალიბებაში საზოგადოებასთან ერთად დიდ როლს ასრულებს ოჯახში, სადაც ის იზრდება და ვითარდება, როდესაც ადამიანს ოჯახში ძალადობრივი გარემო აქვს ესეც შეიძლება ჩავთვალთ ძალადობის გამომწვევ იზეზად, აქ ვსაუბრობთ ძირითადად ძალადობის მსხვერპლ ბავშვებზე, რომელთათვისაც ძალადობა არის ყოველდღიურობა და მიუხედავად იმისა, რომ მათ ეს არ მოსწონთ საბოლოო ჯამში ასეთი ადამიანების უმრავლესობა წლების მერე თავად გვევლინებიან მოძალადის ამპულაში. სწორედ ამ მოტივზეა დაფუძნებული ძალადობის ასახსნელად ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თეორია, „ბანდურას სოციალური დასწავლის თეორია“, რომლის მიხედვითაც ადამიანი საკუთარ თავს საკუთარ ქცევებს სწავლობს სოციალურ ქცევებზე დაკვირვებით. ადამიანის ქცევა მხოლოდ მასში მიმდინარე პროცესებით არ განისაზღვრება, მასზე მოქმედებს გარემო ფაქტორები. ადამიანი ითვისებს და აკეთებს იმას, რასაც ხედავს. ბანდურას აზრით ადამიანში ძალადობრივი ქცევის ჩამოყალიბების სამი წყარო არსებობს: ოჯახი, კულტურა და მედია.

ძალადობის გამომწვევ მიზეზთა შორის არის თვითიზოლაციაც, რაც ამ პანდემიის პირობებმა მოიტანა. არსებული რეალობა გახდა ხელისშემწყობი ფაქტორი ადამიანებს მეტი დრო გაეტარებინათ ერთად ოჯახში. კრიზიზს დროს ეპიდაფეთქების პირობებში შეინიშნებოდა ქალთა მიმართ ძალადობის მზარდი ტენდენცია მსოფლიო მასშტაბით.[22]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის აპრილის მონაცემებით, რომელიც სამინისტროს ვებ გვერდზე გამოქვეყნდა, ირკვევა, რომ ძალადობის ზრდის ტენდენციას ადგილი არ ჰქონია, არ არის დასახელებული

[22] World Health Organization, COVID-19 and violence against women, 26 მარტი, 2020; UN Women, COVID-19 and Ending Violence Against Women and Girls

ძალადობის მსხვერპლთა კონკრეტული რაოდენობა, მაგრამ 2020 წლის მარტში, ოჯახურ კონფლიქტებსა და ძალადობასთან დაკავშირებული შემთხვევების გამო მიმართვიანობის მაჩვენებელი 2019 წლის დეკემბერში არსებული რაოდენობის ტოლია.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ინფორმაციით პანდემიის დაწყებასთან ერთად გაიზარდა მიმართვიანობის მაჩვენებელი და სამართლებრივი დახმარების სათხოვნელად მათ იმაზე ბევრად მეტმა ქალმა მიმართა, ვიდრე ეს ჩვეულებრივ პირობებში ხდებოდა.[23] მიმართვაში ვკითხულობთ, რომ პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლისთვის შემოღებული რეგულაციები ხელს უშლის ადვოკატების ჩართულობის შესაძლებლობას ძალადობის მსხვერპლი ქალების დასახმარებლად, რაც დამატებით ბარიერს წარმოადგენს ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხებში.

1.5. ქალთა მიმართ ძალადობის შედეგები

ოჯახში კონფლიქტის ყველაზე ტაბუდადებული ფორმა არის ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ, ამაზე თითქმის არასოდეს საუბრობენ და ჩუმად ატანას ამჯობინებენ ქალები, რასაც საბოლოოდ ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის დამანგრეველ შედეგებამდე მივყავართ. ძალადობის შედეგები მრავაგვარი და მრავალფეროვანია ისევე, როგორც მისი მაპროვოცირებელი მიზეზები. ძალადობის ყველაზე ცუდი შედეგი არის სიკვდილიანობის მაჩვენებლის ზრდა ძალადობის მსხვერპლ ქალებში. ძალადობა უარყოფითად მოქმედებს

[23] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მიმართვა სახელმწიფო უწყებებს https://rb.gy/27s7zk

ქალების ჯანმრთელობაზე. ძალადობა მძიმედ მოქმედებს ქალების ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ასევე მათ რეპროდუქციულ უნარებზე.

2020 წლის მარტში გაცემული შემაკავებელი ორდერების მაჩვენებელი ძალადობის სახეების მიხედვით ასეთია: ფსიქოლოგიური 78%; ფიზიკური 18%, ეკონომიკური 2%, უგულებელყოფა 1%; სექსუალური 0.5%; იძულება 0.5 %.

ძალადობის დროს მოძალადე ცდილობს მოიპოვოს მსხვერპლზე გავლენა, აკონტროლოს მისი ქცევა და შესაბამისად შეუზღუდოს მას უფლებები. ქალთა მიმართ ძალადობას შესაძლოა ჰქონდეს მძიმე ეკონომიკური შედეგები, ხშირია შემთხვევა, როდესაც ქალებზე ეკონომიკურად ძალადობენ, მათ არ ეძლევათ საკუთარი ფინანსების განკარგვის საშუალება და მითუმეტეს მეუღლის ან ოჯახის ფინანსების გამოყენების უფლება. ეკონომიკური ძალადობის მაპროვოცირებელი და უფრო მეტად გამამწვავებელი მიზეზი არის ქალების არათანასწორი მდგომარეობა საკუთრების უფლებებთან.

სამწუხაროდ საქართველოში დღემდე თანასაკუთრება, მემკვიდრეობა, ოჯახის კუთვნილი ქონება გადადის ვაჟიშვილზე და არა ქალზე. კანონით ქალს და მამაკაცს ერთნაირად ეძლევა საკუთრებაზე წვდომის უფლება, მაგრამ საზოგადოებაში იმდენად არის გამჯდარი აზრი, რომ ქალს არ ეკუთვნის ოჯახის საკუთრება და მემკვიდრეობა მხოლოდ მამაკაცის უფლებაა, რომ ქალების უმრავლესობას უწევს არათანაბარ პირობებში, საკუთრების უფლების გარეშე ცხოვრება და ძალადობის ატანა.

ეკონომიკური ძალადობის კუთხით მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ უცხო ქვეყნებში სამუშაოდ წასულ ქართველ ქალებზე. ამ შემთხვევაში შემოსავალს მთლიანად ისინი გამოიმუშავებენ, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ვერ განკარგავენ მას, რადგან საქართველოში გამოგზავნილი თანხები მეუღლის, პარტნიორის ან ოჯახის წევრების სურვილისამებრ მათივე საჭიროებებისთვის იხარჯება. საბოლოოდ დგება ისევ არასასურველი შედეგი, საკუთარ ქვეყანაში

დაბრუნებულ ქალებს ისევ არ აქვთ წვდომა მათ მიერ შექმნილ მატერიალურ სიკეთეებზე.

საქართველოში ქალები ქმნიან ეკონომიკური კეთილდღეობის უდიდეს ნაწილს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კვლევაზე დაყრდნობით უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში ქალებთან შედარებით. 2020 წლის მეორე კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.8 და 0.1 პროცენტული პუნქტით.[24] საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით 2021 წლის იანვარში უცხოეთიდან 149.7 მილიონი დოლარი გადმოირიცხა. ყველაზე მეტი გზავნილი საქარელოში იტალიიდან შემოვიდა 27.3 მილიონი დოლარი, რუსეთიდან 23.1 მილიონი, საბერძნეთიდან 18.6 მილიონი, ამერიკიდან 18.07 მილიონი, ისრაელიდან 13.1 მილიონი, თურეთიდან 7.1 მილიონი. [25]

ეკონომიკურ ძალადობაზე სამწუხაროდ ძალადობის სტატისტიკა არაფერს გვეუბნება, რადგან ეკონომიკური ძალადობა ჯერ კიდევ არ არის გააზრებული, როგორც ძალადობის ფორმა და ძირითადად ძალადობაზე საუბრისას ძალადობის ფორმად ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა მოიზარება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკების აქტიური ჩართულობა, რათა ადამიანებმა იცოდნენ თუ რა არის ეკონომიკური ძალადობა, რადგან ადამიანი შეიძლება მუდმივად ცხოვრობდეს ეკონომიკურად ძალადობრივ გარემოში და ვერ აცნობიერებდეს, რომ ძალადობის მსხვერპლია.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ იქნა საქმეები, რომელთა მიხედვითაც ოჯახში ძალადობა განსაკუთრებულად მძინედ აისახება დაბალი შემოსავლის მქონე ან ისეთ ქალებზე, რომელთაც საერთოდ არ გააჩნიათ საკუთარი შემოსავალი, ასევე ხანდაზმულ პირებსა და იმ ქალებზე, რომელთა მეუღლეები/პარტნიორები სამართალდამცავ უწყებებში და/ან შეირაღებულ ძალებში

---

[24] მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებლები (დასაქმება და უმუშევრობა) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2020.

[25] https://businessfeed.ge/da-maints-ramdens-gviritskhaven-emigrantebi/

მუშაობენ/მსახურობენ. ამ შესწავლილ საქმეებში ტენდენციად იკვეთება მოძალადის მხრიდან მსხვერპლის დასჯისა და გაჩუმების მიზნით ბავშვებით მანიპულირება, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მსხვერპლის მდგომარეობას.[26]

2017 წელს საქართველოში ჩატარებული ახალი ეროვნული კვლევის ფარგლებში საქართველოში გამოიკითხა 15-64 წლის 6006 ქალი და 15-64 წლის 1601 მამაკაცი, თუ გავაერთიანებთ ძალადობის ყველა ფორმას საქართველოში მცხოვრები 4-დან ერთი ქალს გამოცდილი აქვს გენდერული ნიშნით ძალადობა. კვლევა გვიჩვენებს, რომ რესპოდენტები აუხსნელ დაუსაბუთებელ და სავალალო შედეგებს ავლენენ ძალადობის შესახებ. გამოკითხულთაგან ქალების 22%-ს და კაცების 31%-ს მიაჩნია, რომ ცოლის ცემა შეიძლება გამართლებული იყოს თუ მას შესაბამისი საფუძველი აქვს, ანუ ისინი ფიქრობენ რომ მამაკაცს აქვს ცოლის ცემის უფლება და შეიძლება რაიმე მიზეზი არსებობდეს ამისთვის, რაც ერთგვარ გამართლებას გავს მათი მხრიდან მოძალადე მამაკაცებისთვის. მამაკაცების 42% ფიქრობს, რომ ქალს მამაკაცის მიმართ სრული და უპირობო მორჩილება მართებს. კვლევამ აჩვენა დადებითი სტატისტიკა გარკვეულ საკითხებში, მაგალითად 2009 წლის მონაცემებთან შედარებით 16.5% ით გაზრდილია იმ ქალთა რიცხვი, რომლებმაც გაბედეს და პოლიციას მიმართეს, ასევე შემცირდა იმ ქალების პროცენტული მაჩვენებელი რომლებიც ფიქრბდნენ რომ ოჯახში ძალადობა მხოლოდ ოჯახის შიგნით უნდა დარჩეს და მასში სხვა არავინ არუნდა ჩაერიოს. [27]

ძალადობის უკიდურესი ფორმა არის ფიზიკური ძალადობა ქალებზე, რის შედეგადაც ქალები ხშირ შემთხვევაში სხეულის დაზიანებებს იღებენ, ძალადობის კვლევის თანახმად ძალადობის სხვერპლი ქალების 33% აცხადებს, რომ ერთხელ მაინც მიუღიათ სხეულის დაზიანება, 12% აცხადებს, რომ მათ მრავალჯერადი

---

[26] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

[27] ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, 2017.

დაზიანებები მიიღეს. გამოკითხული ქალების მხოლოდ 0.2% ამბობს, რომ მუდმივად სარგებლობდნენ სამედიცინო დახმარებით, ხოლო 8 % - ხანდახან.[28]

აქედან გამომდინარე ვასკვნით, რომ ქალების უმრავლესობა არ იღებს სამედიცინო დახმარებას, მიზეზი შეიძლება იყოს გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ რაც ოჯახში ხდება ოჯახშივე უნდა დარჩეს, ან სამედიცინო დაწესებულებას იმიტომ არ მიმართავენ, რომ ეშინიათ მოსალოდნელი შედეგების, ძალადობის ფაქტის გამოაშკარავების და ა.შ.

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიდან, 2012 წელს მოკლულ ქალთა 50% მოკლულია მეუღლლის ან ოჯახის სხვა წევრის მიერ. 2017 წელს განზრახ მკვლელობის ქალი მსხვერპლების დაახლოებით 58% საკუთარი ოჯახის წევრების მიერაა მოკლული, რაც დღეში 137 ქალის მკვლელობას ნიშნავს. [29]

ქალთა მიმართ ძალადობას მრავალ სავალალო შედეგთა შორის აქვს ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესების შედეგი. ძალადობის მსხვერპლი ქალები მუდმივი ჩაგვრის, უუფლებობისა და ძალადობრივი ქმედებების ზეგავლენით ხდებია ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებლები. მათი ფსიქიკური მდგომარეობა არამდგრადია. ქალები, რომელთაც მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან სექსუალური ძალადობა გამოუცდიათ, უფრო მეტად დეპრესიულები არიან, ახასიათებთ ნერვული აშლილობა და მიდრეკილნი არიან თვითმკვლელობისკენ. ასეთი ქალებისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია თავშესაფრები და ერთადერთი გამოსავალი ასეთ დროს ფსიქიატრიული კლინიკები რჩება, რაც საბოლოო ჯამში ვერაფრით ეხმარება ძალადობის სხვერპლს.

ძალადობის შედეგებზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ძალადობის მსხვერპლი ქალების ქონებრივი მდგომარეობა, ვინაიდან

---

[28] იქვე

[29] გაეროს ქალთა ორგანიზაცია, მსოფლიო ქალთა პროგრესი 2019-2020.

საქართველოში ქალების უმრავლესობას ჯერ კიდევ არ მიუწვდება ხელი ოჯახის ქონებაზე და სახლი, სადაც ის გათხოვების მერე ცხოვრობს ძირითადად მეუღლის ან მეუღლის მშობლების საკუთრებაა ძალადობის მსხვერპლი ქალი აწყდება შვილებზე მეურვეობის პრობლემას, მსხვერპლი ქალების უმრავლესობა არ არის დასაქმებული და შესაბამისად არ გააჩნია ფინანსები, ამას ემატება საკუთრების არქონა და საბოლოოდ მივდივართ შვილების გარეშე დარჩენის შედეგამდე, თუ რათქმაუნდა ქალს საკუთარი ოჯახი არ შეიფვარებს ან სახელმწიფოსგან არ მოითხოვს თავშესაფარს.

თავი 2. სახელმწიფოს პოლიტიკა ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ

2.1. ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენის მზარდი სტატისტიკური მაჩვენებელი და ძალადობის პრევენციის აუცილებლობა

ქალთა მიმართ ძალადობა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა ჩვენს საზოგადოებაში მუდმივად იყო ჩრდილქვეშ. ქალები თითქმის არასდროს საუბრობდნენ ღიად ძალადობის შემთხვევებზე და არ ამხელდნენ მოძალადეს.

2017 წელს ჩატარებული ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის კვლევა არის მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენის საქმეში. ამ კვლევამ საშუალება მოგვცა დაგვენახა სრულყოფილი სურათი საქართველოში ძალადობის მსხვერპლთა ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ. კვლევის შედეგებმა ცხადყო საზოგადოების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით 2020 წელს ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე შეტყობინების სტატისტიკა ასეთია: მსხვერპლი 78%; მსხვერპლის ოჯახის წევრი 12%; მეზობელი 2%; სასწრაფო 1%; პოლიციელი 1%;

საავადმყოფო 0.6%; ანონიმური 0.4% სხვა 4%.[30] ეს სტატისტიკა გვაუწყებს, რომ ქალები უფრო და უფრო აქტიურად იცავენ საკუთარ უფლებებს, მიმართავენ შესაბამის ორგანოებს დახმარების მისაღებად. ძალადობა საზოგადოების პრობლემაა და თუ დღეს ერთი კონკრეტული ქალია მსხვერპლი, ხვალ მის ადგილას შეიძლება ნებისმიერი სხვა აღმოჩნდეს.

საქართველო ჯერ კიდევ არის განვითარების იმ ეტაპზე, სადაც ძალადობას შორიდან უყურებენ და რეაგირების ხარისხი არცისე მაღალია. სანამ ამ ქვეყანაში მოძალადეებისთვის მოიძებნება რაიმე სახის მიზეზები, რითაც ძალადობის ახსნა შეიძლება, ვერასოდეს ვერ იქნება ქალი ბოლომდე დაცული. მნიშვნელოვანია ადამიანებს ქონდეთ ერთგვარი ცალსახა პოზიცია და შეთანხმებული მიდგომა, რომ ძალადობა უნდა იყოს დასჯადი. ასეთ საზოგადოებაში მოძალადეს აუცილებლად ექნება განცდა, შიში რომ მსხვერპლი თუ არა საზოგადოება აუცილებლად დასჯის მას.

პოლიციაში მიმართვიანობით, ასრებული მონაცემებით 2020 წელს დათვილილია ქალთა მიმართ ძალადობის 5700 ფაქტი, რომლის შესახებაც პოლიციამ შეიტყო, ეს რიცხვი მიგვანიშნებს ქალთა მიმართ ძალადობის მზარდ ტენდენციაზე, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ძალადობის შემთხვევების დრო ქალები უმეტესად დუმილს ირჩევენ ეს მაჩვენებელი ერთგვარი იმედის მომცემიც შეიძლება იყოს, რადგან მიმართვიანობის ზრდადობა ნიშნავს, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალები ნელნელა თავისუფლდებიან დუმილის ბორკილებიდან და ცდილობენ ძალადობა სააშკარაოზე გამოიტანონ.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციისთვის მნიშვნელოვანია ადამიანის მოძალადადედ ჩამოყალიბებამდე მისი აღზრდისა და განვითარებისთვის ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რაც საბოლოოს მას სრულფასოვან პიროვნებად ჩამოაყალიბებს. იგივე შეიძლება ითქვას ძალადობის მსხვერპლ ქალებზე, მათ უნდა იცოდნენ უფრო მეტი საკუთარ უფლებებზე და უნდა შეეძლოთ

[30] https://act-global.com/news

საკუთარი სურვილებისა და შესაძლებლობების რეალიზება. ყოველივე ამისთვის საჭიროა ყველა იმ ინსტიტუტის შეთანხმებული თანაბარი ჩართულობა, რომელიც მნიშვნელოვანია მოზარდის ჩამოყალიბების პროცესში.

მაგალითები, რომელსაც მომავალ თაობას აღზრდის პროცესში ვაძლევთ წარმოდგენას უქმნის მათ გენდერისა და ადამიანის უფლებათა პატივიცემის შესახებ, უნდა ვასწავლოთ იმ სტერეოტიპების უგულებელყოფა, რომლებსაც მოზარდები მუდმივად აწყდებიან ოჯახში ქუჩასა თუ სკოლებში, მათ უნდა იცოდნენ, რომ განსხვავებულობა არ წარმოადგენს პრობლემას.

2.2. ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის თეორიული მოდელები

ქალთა მიმართ ძალადობის გამომწვევი ძირითადი მიზეზი არის უთანასწორობა და დისბალანსი ქალისა და მამაკაცის უფლებებს შორის. ქალთა მიმართ ძალადობა ერთი კონკრეტული მიზეზით არ ხდება, ეს წარმოადგენს მთელი რიგი არასწორად წარმართული პროცესების შედეგს.

ჰაგემან-უაითმა ჩამოაყალიბა ძალადობის პრევენციისა და გამოვლენის ინტერაქტიული მოდელი, რომელიც **„ეკოლოგიური მოდელის“** სახით არის ცნობილი. ეს მოდელი ეყრდნობა ძალადობის გამომწვევი მიზეზების სიღრმისეულ კვლევას. ავტორმა მოახდინა იმის ილუსტრირება თუ როგორ მოქმედებენ სხვადასხვა დონეზე არსებული რისკ-ფაქტორები ერთმანეთზე, რასაც საბოლოოდ ქალთა მიმართ ძალადობამდე მივყავართ. ეს მოდელი წარმოადგენს სასარგებლო ჩარჩოს გენდერული უთანასწორობის, ძალადობის საშუალებებისა და მექანიზმების გასანადგურებლად. ეს მოდელი საშუალებას გვაძლევს გამოვააშკარაოთ

ძალადობის ხელშემწყობი ფაქტორები, რაც საბოლოო ჯამში მნიშვნელოვანია ძალადობის პრევენციისთვის.[31]

„სოციალური მარკეტინგის მოდელი“, რომელიც გამოიყენება ნეგატიური ქცევის მოდელების პოზიტიური ალტერნატივებით ჩანაცვლების მიზნით. მოცემული მიდგომა ადაპტირებულ იქნა ქალთა მიმართ ძალადობისა და გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების აღმოფხვრისთვის. იგი ემსახურება საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპებისა და მამაკაცური ქცევის შესახებ ტრადიციული შეხედულებების შეცვლას და ასეთი ქცევის ძალადობად ცნობას.[32]

სოციალური მარკეტინგის მოდელი მნიშვნელოვანია იმ არასწორი მიდგომების შეცვლისათვის რომელიც არსებობს საზოგადოებაში გენდერული თანასწორობასთან, ქალთა უფლებებთან დაკავშირებით და ხელს უწყობს ქალთა მიმართ ძალადობას.

ძალადობის პრევენციის მიზნით მნიშვნელოვანია კანონმდებლობის გადასინჯვა და იმ ნორმებისა და დამოკიდებულების გარდაქმნა, რომელიც არსებობს საზოგადოებაში ქალთა ქცევის მიმართ. საჭიროა ისეთი მიდგომების შემუშავება და საზოგადოებისდთვის ინფორმაციის ისეთი სახით მიწოდება, რაც აამაღლებს მათ ცნობიერებას და დაანგრევს მანკიერ სტერეოტიპს, რომ მამაკაცი ქალზე უპირატესია.

საქართველო, როგორც ევროსაბჭოს წევრი სხვა სახელმწიფოები ძალადობის პრევენციის მიზნით ძირითადად მიმართავს განათლების დონის, ცნობიერების ამაღლებას, თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთამ, რომელთა საქმიანობა ქალთა მიმართ ძალადობის შემცირებას უწყობს ხელს. სახელმწიფო თანამშრომლობს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მოქმედ უწყებებთან და

---

[31] ესტერი.მ. სარა-ჯეინ ლილეი. ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია: სტამბოლის კონვენციის მე-12 მუხლი(დოკუმენტების კრებული ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციით განსაზღვრულ ასპექტებზე)

[32] ნ, სტენლი და სხვები, მამაკაცების საუბარი და განწყობები: ჰალის ოჯახური ძალადობის კონტექსტში სოციალური მარკეტინგის ინიციატივის მიდგომების კვლევა.2009.

აწყობს სპეციალურ კამპანიებს, რომლებიც საზოგადოებაში ძალადობრივი ქმედებების შემცირებას ემსახურება.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მიზნად ისახავს დაიცვას ქალები ძალადობის ყველა ფორმისაგან და აღკვეთოს ნებისმიერი სახის ძალადობა მათ მიმართ; ხელი შეუწყოს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას; შეიმუშაოს პოლიტიკური კურსი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად და მხარდასაჭერად; მხარი დაუჭიროს და დაეხმაროს სამართალდამცავ ორგანოებს, რათა შემუშავებულ იქნას კომპლექსური მიდგომა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.[33]

2.2. გაეროს ქალთა ორგანიზაციის ჩართულობა საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციაში

გაეროს ქალთა ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოში, როგორც მთავრობასთან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ორგანიზაცია უჭერს ტექნიკურ დამხარებას საქართველოს ისეთი მიზნების მიღწევაში, როგორიც არის პოლიტიკისა და კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო ვალდებულებებთან. გაეროს ქალთა ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა, ისეთ დოკუმენტებთან როგორიც არის:

- კონვენცია ქალთა დიკრიმინაციის აღმოფხვრის ყველა ფორმის შესახებ (CEDAW);
- ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ შემუშავებული პროცედურები და სპეციალური რეკომენდაციები;
- ქალთა სტატუსის შესახებ კომისიის შეთანხმებული დასკვნები;

[33] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0

- ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობს საქართველოს წამყვან ორგანიზაციებთან, რომლებიც ჩართულნი არიან უწყებათაშორის კოორდინაციაში. დახმარებას უწევენ ძალადობის მსხვერპლ ქალებს მიიღონ შესაბამისი დახმარება სახალხო დამცველის, პოლიციის, ადვოკატების, მოსამართლეებისა და სოციალური მუშაკებისაგან.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით შეიქმნა საქართველოში ისეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომსახურებები, როგორიც არის ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები, კრიზისული ცენტრები და ეროვნული ცხელი ხაზი (116006), რომელიც აბონენტებს ეროვნული უმცირესობების ენებზეც ემსახურება. გაეროს ქალთა ირგანიზაცია მიზნად ისახავს საზოგადოებაში ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრებას ქალთა მიმართ ძალადობრივ ქმედებებზე, ამიტომ მას ხშირად უწევს საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად ისეთი ცნობადი სახეების, სპორტისა და ხელოვნების წარმომადგენლების ჩართულობა, რომელთაც გააჩნიათ ბრძოლის გამოცდილება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.[34]

გაეროს ქალთა ორგანიზაცია უდგას სათავეში სამუშაო ჯგუფს, რომელიც მუშაობს ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის საკითხებზე. ჯგუფი შედგება სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და გაეროს სააგანტოების წარმომადგენლებისგან. ამ ჯგუფის მიზანია მთავრობის დახმარება და მხარდაჭერა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის კუთხით ქვეყნის აღებული კურსის და დაგეგმილი პოლიტიკის გატარებაში. გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქმიანობას საქართველოში ქალთა და გოგონათა მიმართ

[34] ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა. ხელმისაწვდომია ლინკზე https://georgia.unwomen.org/ka/what-we-do/ending-violence-against-women

ძალადობის წინააღმდეგ ფინანსურ მხარდაჭერას 2010 წლიდან უწევს შვედეთის მთავრობა, ხოლო 2016 წლიდან ევროკავშირის დელეგაცია.[35]

გაეროს ქალთა ორგანიზაციამ და გაეროს მოსახლეობის ფონდმა ევროკავშირის მხარდაჭერით წამოიწყო ახალი პროექტი „ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საქართველოში“. აღნიშნული პროექტი მიმდინარეობდა 2020 წლის 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე, ევროკავშირის ადამიანის უფლებათა დაცვის კვირეულის და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში. აღნიშნული პროექტი სამი წელი გაგრძელდება და მიზნად ისახავს საქართველოში ძალადობის პრევენციას, რეაგირებისთვის სათანადო პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავებას. კამპანიის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქვემო ქართლსა და გურიას და ემსახურება არსებული დამკვიდრებული სტერეოტიპებისა და დამოკიდებულებების შეცვლას ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების მიმართ.[36]

გაეროს ქალთა ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ხელისუფლებასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და მედიასთან, რათა ქალთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროცესში ჩართული იქნას ქვეყანაში არსებული ყველა შესაბამისი უწყება.

2.3. ქალთა წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები და არსებული ხარვეზები

ქალთა მიმართ ძალადობა ფართოდ გავრცელებული და აქტუალური პრობლემაა 21-ე საუკუნეში. პრობლემა საყოველთაოა და მთელს მსოფლიოს მოიცავს, ამიტომ მუდმივად მიმდინარეობს მსჯელობა მისი მოგვარების გზებზე.

[35] იქვე

[36] ევროკავშირი საქართველოსთვის (ხელმისაწვდომია აქ shorturl.at/sDEY8)

საერთაშორისო კანონმდებლობა ეროვნული კანონმდებლობის პარალელურად აწესებს ზოგად მოთხოვნებს, რომ ქალების უფლებები მაქსიმალურად იყოს დაცული.

ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის მოგვარება პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა, როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც. მიუხედავად იმისა, რომ წლების წინ ეს თემა ტაბუდადებული იყო და ქალთა მიმართ ძალადობას ძირითადად მხოლოდ დუმილით პასუხობდნენ, ახლა ამაზე ქალები და არა მხოლოდ ქალები თანდათან საუბარს იწყებენ. ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპიდან გამომდინარე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომლის საშუალებითაც თითოეული ადამიანი მაქსიმალურად იქნება დახული.[37]

ეროვნულ დონეზე ქვეყნის შიგნით არსებული ტრადიციები, კულტურის, სოციუმის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა. რიგი რეკომენდაციები, კონვენციები და საერთაშორისო ვალდებულებები, რომლებიც ხელს უწყობს ქვეყანაში ქალთა უფლებების დაცვასა და მათ მხარდაჭერას და რომელთა შესრულებაც აუცილებელია ქვეყნის ნორმალური განვითარებისთვის.

ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის სმხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონით, ძალადობის ფორმები განმარტებულია შემდეგნაირად:

ფიზიკური ძალადობა - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან რაიმე სახის სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც საბოლოოდ ჯანმრთელობის დაზიანების ან სიკვდილის მიზეზი ხდება.

---

[37] საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე 2016-2018.მომსადებული და გამოცემულია“დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის“ (NCCE) მიერ. თბილის,2019.

ფსიქოლოგიური ძალადობა- შეურაცხყოფა, დამცირება, შანტაჟი მუქარა ან სხვა ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვბას.

სექსუალური ძალადობა - სექსუალური კავშირი ძალადობით, მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით, ასევე სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ქმედება, რომელიც განხორციელებულია მსხვერპლის ნების საწინააღმდეგოდ.

ეკონომიკური ძალადობა - მოქმედება, რომელიც იწვევს საცხოვრებლით, საკვებით და ნორმალური განვითარების, საკუთრებისა და შრომის უფლებების, ქონების განკარგვის, ასევე თანასაკუთრებაში არსებული ქონების ფლობისა და წილით სარგებლობის უფლებების შეზღუდვა.

იძულება - ადამიანი ფიზიკური და ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ისეთი მოქმედება, რომელიც მას არ სურს და რომლისგან თავის შეკავებაც მისი უფლებაა. ან განიცადოს საკუთარ თავზე მისი ნება სურვიილის გარეშე განხორციელებული ზემოქმედება.[38]

2006 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. კანონი განსაზღვრავს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალთა მიმართ ძალადობრივ ქმედებასთან ერთობლიობას, აღკვეთის სამართლებრივ და სოციალურ საფუძვლებს, ასევე მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმებს. კანონის მიზანია ოჯახის წევრთა თანასწორობის უზრუნველყოფა მათი უფლებების დაცვით. შესაბამისი საკანონდმებლო გარანტიების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალთა უფლებების დაცვასა და მათ თანაბარ

[38] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018

შესაძლებლობებს მოახდინონ საკუთარი თავის რეალიზება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართულობა.[39]

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი და კანონი: „გენდერული თანასწორობის შესახებ“, უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებსა და უფლებებს ქალებისა და მამაკაცებისთვის, ასევე აღიარებს განსაკუთრებული ზომების მიღების აუცილობლებას ქალებისა და მამაკაცებისთვის არსებითად თანასწორობის მისაღწევად და უთანასწორობის აღმოსაფრხვრელად.[40]

საქართველოს კანონის „ქალთა მიმართ ძალადობისა და/ან ოჯახში ძალადობის აღკვეთისა, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მიზანია: შექმნას ეფექტიანი საკანონდმებლო მექანიზმი, რათა თავიდან ავიცილოთ ქალთა მიმართ ძალადობა, ქალებს ქონდეთ თანაბარი დაცვისა და მართმსაჯილებაზე ხელმისაწვდომობის საშუალება. ასევე თანამშრომლობის უზრუნველყოფა ყველა იმ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს შორის, რომელთაც ხელეწიფებათ ქალთა უფლებების დაცვა და მათთვის შესაბამისი დახმარების გაწევა. ეს კანონი ასევე განსაზღვრავს მოძალადეთა დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებას.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს საკუთაარი უფლებამოსილებებისა და კომპეტენციების ფარგლებში განახორციელებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა და განსახლების სამინისტრო, განათლების სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა და სასამართლო.

---

[39] საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=19

[40] ქალი და კაცი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი 2020.

საქართველოში ფუნქციონირებს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მოქმედი უწყებათაშორისი კომისია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს მონიტორინგისა და შეფასების განხორცელებას, რომელიც ძალადობის ფორმის განსაზღვრასა და პრევენციას ემსახურება.

ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიკაცისს, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის მიზნით სახელმწიფო ორგანოებისა და შესაბამისი სხვა უწყებების დროული შეთანხმებული მუშაობა განსაზღვრულია „ქალთა მიმართ ძალადობის ან /და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურებით“, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.[41]

2017 წელს საქართველოს პარლამენტის მიერი იქნა რატიფიცირებული ევროპის საბჭოს კონვენცია, რომელიც „სტამბულის კონვენცის“ სახელით არის ცნობილი. ამ კონვენციის რატიფიცირების შემდეგ აქტიურად დაიწყო სახელმწიფოს მხრიდან ქალების განსაკუთრებული დაცვა. შესაბამისად მოხდა ძირეული ცვლილებები, როგორც ქალთა უფლებების დაცვის, ასევე მათი შესაძლებლობების რეალიზების მიმართულებით.[42]

სტამბულის კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“, აღიარებს ქალთა მიმართ ძალადობას, როგორც უფლებების დარღვევას და მოუწოდებს კონვენციის მონაწილე მხარეებს, მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო სხვა ზომები ქალთა უფლებების დაცვის მიზნით.[43]

---

[41] https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=19

[42] საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე 2016-2018.მომსადებული და გამოცემულია“დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის“ (NCCE) მიერ. თბილის,2019.

[43] იქვე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა მოწმისა და დაზარალებულის ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა კოორდინაციის ინსტიტუტი, დაინერგა ძალადობის რისკის შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც მნიშვნელოვანია, როგორც ძალადობის მსხვერპლის უსაფრთხოების გარანტი და პრევენციის საშუალება. ასევე მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა სტატისტიკის წარმოება და გამოქვეყნება. თუმცა პრობლემად რჩება ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების საქმეში სრული ჩართულობა და სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობა.[44]

ცვლილებები შევიდა ასევე „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონში“, გაფართოვდა მისი მოქმედების არეალი. ის არამხოლოდ ოჯახის შიგნით ძალადობრივ ქმედებებს ზღუდავს, არამედ ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებსაც ეხება.

ძალადობის მსხვერპლ ქალს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, შემაკავებელი და დამცავი ორდერის მოთხოვნით, ასევე უფლება აქვს მოითხოვოს სახელმწიფოსგან თავშესაფარი, მოითხოვოს მოძალადის მიერ მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა და „იურიდიული დახმარების შესახებ“, საქართველოს კანონით უფლება აქვს ისარგებლოს იურიდიული მომსახურებით სახელმწიფოს დაფინანსებით.

[44] ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრის) მონიტორინგის ანგარიში

2.4. დამცავი და შემაკავებელი ორდერი, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ქალთა უფლებების დაცვის მექანიზმი

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლოს მიზნით შეიძლება გამოიცეს დამცავი და შემაკავებელი ორდერები, რომლებსაც გააჩნიათ გარკვეული სახის მოძალადისთვის გარკვეული სახის ქმედებების შეზღუდვის საშუალება.

დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გაცემული აქტი, რომლითაც ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, განისაზღვრება ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დადებითი ღონისძიებები, ხოლო შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები, რომელიც გამოცემიდან კანონით დადგენილი დროის, 24 საათის განმავლობაში, დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.[45]

მსხვერპლთა დაცვის დროებით ღონისძიებებში იგულისხმება მოძალადისაგან მსხვერპლის დაცვისა და გარიდების ზომები, მსხვერპლის თავშესაფარში მოთავსების საკითხები რათქმაუნდა ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში. მოძალადის მიახლოება სხვერპლთან, მის სამსახურთან და ისეთ ადგილებთან სადაც მსხვერპლი იმყოფება, ასევე ყველა იმ ზომის უზრუნველყოფა რაც აუცილებელია მსხვერპლთა უსაფრთხოებისთვის.[46]

---

[45] საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე 2016-2018.მომსადებული და გამოცემულია“დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის“ (NCCE) მიერ. თბილის,2019.

[46] საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე 2016-2018.მომსადებული და გამოცემულია“დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის“ (NCCE) მიერ. თბილის,2019.

2020 წლის იანვრის მონაცემებით შემაკავებელი ორდერი გაიცა 947 ფაქტზე, თებერვალში 840, ხოლო მარტში 930-მდე.[47] როგორც ჩანს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევების დროს ამ ორდერების გამოყენება გავრცელებული პრაქტიკაა. შემაკავებელი და დამცავი იორდერები გამოიყენება ნებისმიერ შემთხვევაში როდესაც ადგილი აქვს ქალთა მიმართ რაიმე სახის ძალადობრივ ქმედებას და არის კიდევ ერთი სიახლე პოლიციის მიერ შემაკავებელი ორდერის ძალაში შესვლისათვის აღარ არის საჭირო მისი სასამართლოში წარდგენა.

კანონის თანახმად დამცავი და შემაკავებელი ორდერის მოთხოვნის უფლება აქვს დაზარალებულ პირს, მისის ოჯახის წევრს ან პირს, მსხვერპლის თანხმობით, რომელიც უშუალოდ დახმარებას უწვეს მსხვერპლს. აღნიშნულთან დაკავშირებით ამ პირებმა განცხადებით უნდა მიმართონ სასამართლოს.[48]

დამცავი და შემაკავებელი ორდერი შეიძლება გაუქმდეს მხარეთა შერიგებისას, თუ ისინი მიმართავენ პოლიციას ან სასამართლოს ამ ორდერის გაუქმების მოთხოვნით. რათქმაუნდა ორდერის გაუქმებას წინ უძღვის საქმის ყოველმხრივი და სრულფასოვანი შესწავლა. ასევე არსებობს კიდევ ერთი გარემოება, დამცავი და შემაკავებელი ორდერის გაუქმება შესაძლებელია მაშინ, როცა არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ მსხვერპლს საფრთხე აღარ ემუქრება.

დამცავი და შემაკავებელი ორდერი შეგვიძლია მოვიაზროთ, როგორც მყისიერი ყველაზე სწრაფი დაცვის საშუალება ძალადობის სმხვერპლი ქალებისთვის, ვინაიდან ქალთა მიმართ ძალადობის საქმეზე გამოძიების პროცესი შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. ამ დროის განმავლობაში კი ეს ორდერი ქალებს გარკვეულწილად დაცულობის შეგრძნებას აძლევს, ასევე მნიშვნელოვანია მოძალადისთვისაც, რადგან მოძალადე შემაკავებელი ან დამცავი ორდერის

[47] https://police.ge

[48] http://myrights.gov.ge

გამოწერის შემდგომ აცნობიერებს, რომ შეიძლება დადგეს მისი პასუხისგებაში მიცემის საკითხი და ნებით თუ უნებლიედ სერიოზულად აღიქვამს თავის მდგომარეობას.

2.5. ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფო ვალდებულებები და სათანადო ყურადღება

სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს დაიცვას ნებისმიერი მოქალაქის უფლება. მაშინ, როდესაც სახელმწიფო ვერ ან არ უზრუნველყოფს ძალადობის მსხვერპლი ქალის უფლებების დაცვას და მისთვის მიყენებული ზიანის ანაზრაურებას, ან უბრალოდ უარს ამბობს დაეხმაროს მსხვერპლს და გამოიძიოს კონკრეტული საქმე, მაშინ მტკიცდება, რომ უუნაროა და ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებეს.[49]

სახელმწიფოს მოვალეობაა უზრუნველყოს ძალადობის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება. სახელმწიფო ხშირად თავს იკავებს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საქმეებში ჩარევისაგან, რადგან მიიჩნევა, რომ ოჯახში ძალადობა აღიქმება „ტრადიციულ“ მდგომარეობად, მაგრამ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება აიძულებს ჩაერიოს მასში.

ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა არ შეიძლება მოიაზრებოდეს, როგორც ოჯახის ან სახელმწიფოს შიდა საქმე, რადგან ეს პირდაპირ უკავშირდება ადამიანის უფლებების დარღვევას და გურგრილი არასათანადო დამოკიდებულების შემთხვევაში, შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობა.

სახელმწიფოს როლი ქალთა მიმართ ძალადობის შემცირების საქმეში არის შემდეგი:

---

[49] ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისია, ანგარიში oeA/ser.L/V/ii , ძალადობის მსხვერპლი ქალების ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე, თბ.,2007.

- სტატისტიკური მონაცემების შეგროვება ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შესახებ. იმ მიზეზების იდენტიფიცირება, რაც გახდა ძალადობის მაპროვოცირებელი. ეს მონაცემები საბოლოო ჯამში საშუალებას იძლევა შემუშავდეს ეფექტური პრევენციის საშუალებები ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ;
- აწარმოოს სოციალური კამპანიები საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ისტორიულად გამჯდარი სტერეოტიპების გავლენას. სახელმწიფომ უნდა ჩაუნერგოს საზოგადოებას, რომ დაგმონ ნებისმიერი სახის ძალადობა ქალთა მიმართ და გაიაზრონ, რომ ეს არამხოლოდ ძალადობის მსხვერპლი ქალების, არამედ მთლიანი საზოგადოების პრობლემაა;
- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს იმ ადამიანების გადამზადება, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულნი არიან ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებთან. მაგალითად, როცა ძალადობის მსხვერპლი ქალი სამართალდამცავ ორგანოებს მიმართავს, ისინი უნდა იყვნენ მზად იმისთვის, რომ სწორად შეაფასონ მსხვერპლის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ამ მიმართულებით საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს პოლიციის განყოფილებებში ფსიქოლოგის ინსტიტუტი, მაგრამ არსებოს ფსიქოლოგის კონსულტაციის შეთავაზების მექანიზმი ძალადობის სმხვერპლი ქალებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის. ნებაყოფლობითია ძალადობის სხვერპლი ამ მომსახურებით ისარგებლებს თუ არა.
- მნიშვნელოვანია სხვადასხვა სფეროში დასაქმებული ადამიანების გადამზადება, რადგან ხშირ შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლმა ქალებმა არ იციან ვის მიმართონ დახმარების სათხოვნელად. ამიტომ როდესაც ძალადობის მსხვერპლი სახელმწიფო უწყებაში მოდის იქ

დასაქმებული პირი აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი ინფორმაციით და მსხვერპლი სწორი მიმართულებით გადაამისამართოს დროული და სრულფასოვანი დახმარების მისაღებად.

2017 წლიდან გაეროს ქალთა ორგანიზაციამ დაიწყო ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის აღკვეთისკენ მიმართული ინიციატივის განხორციელება საქართველოში.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ადაგილობრივი თვითმმართელობის ევროპულ გაერთიანებებთან. ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულმა ასოციაციამ აიღო პასუხისმგებლობა მუნიციპალიტეტებში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობისა ადვოკატირების შესახებ. ასოციაციის შუამდგომლობით საქართველოს 4-მა მუნიციპალიტეტმა უკვე მოაწერა ხელი ევროპულ ქარტიას „ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობისა და თანაბარი ცართულობის შესახებ“, რითაც დაადასტურა თანასწორობის პრინიციპისა დაცვისა და გენდერული თანასწორობისთვის მზაობა.[50]

ქალთა უფლებების დაცვის მიმართულებით საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლოა გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობა. ამ ორგანიზაციის მხარდაჭერითა და ჩართულობით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოში, ქალთა უფლებების დაცვისა და შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით.

ქალთა მიამართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯია თავშესაფრების შექმნა, რაც ხელს უწყობს მსხვერპლის

[50] https://www.interpressnews.ge

დახმარების ხარისხის გაუმჯობესებას. თავშესაფრით სარგებლობა შეუძლია ნებიესნიერ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს ვისაც აქვს ამის აუცილებლობა.

თავშესაფრის შინაგანაწესის თანახმად ოჯახში ძალადობის სმხვერპლად ჩაითვლება ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება და რომელსაც მსხვერპლის სტატურის განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, ანდა სასამართლო ორგანომ (იგულისხმება შემაკავებელი და დამცავი ორდერის გამოცემა), ანდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სატატუსისი განსმსაზღვრელმა ჯგუფმა.[51]

საქართველოს კანონში „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის სმხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, თავშესაფრები განმარტებულია, როგორც მსხვერპლთა დროებით განთავსების ადგილი, სადაც ისინი შეძლებენ ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ, სამედიცინო დახმარებას და დაცვას. რაც შეეხება კრიზისულ ცნეტრებს - ეს არის სავარაუდო მსხვერპლთა ან მსხვერპლთა დროებით განთავსების ადგილი და ასეთ ცენტრებში ძალადობის სხვერპლი თავსდება მისი სტატუსის განსაზღვრამდე.

მსხვერპლის თავშესავარში მოთავსება ხდება 3 თვემდე ვადით და საჭიროების შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს თავშესაფრის წესდებით. რაც შეეხება იმ გარემოებას, როდესაც ვადის ამოწურვის შემდეგ ისევ არსებობს საფრთხე მსხვერპლისთვის, ამ დროს თავშესაფრის ადმინისტრაცია მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს დამატებითი ზომების მისაღებად.

საქართველოს მთავრობა თავშესაფრით სარგებლობისთვის ძალადობის მსხვერპლს ავალდებულებს მსხვერპლის სტატუსის დადასტურებას, რაც

[51] ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში 2015.

გარკვეულწილად ქმნის ბარიერს მსხვერპლისთვის დამხარების მიღების პროცესში. გაეროს ქალთა ორგანიზაციის და ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოს მთავრობა გეგმავს გააუქმოს მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებული პროცედურები და ძალადობის სმხვერპლს შესაძლებლობა მიეცემა უფროს სწრაფად მიიღოს დახმარება.

ძალიან ყურადსაღები და მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ თუ მსხვერპლს არ სურს თავშესაფრით სარგებლობა, იმ შემთხვევაში თუ სარგებლობს შემაკავებელი და დამცავი ორდერით, შეუძლია დარჩეს მოძალადე მეუღლის, პარტნიორის ან ოჯახის წევრის საკუთრებაში და მოძალადე უნდა გაერიდოს მას. ასეთ დროს არ ხდება საკუთრების უფლების გათვალისწინება.

საქართველოს პროკურატურამ ახალი ნაბიჯები გადადგა ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე მომუშავე პროკურორების სპეცციალიზაციის საქმეში. 2021 წლის მარტი-აპრილის თვეში 59 პროკურორმა უკვე გაიარა შესაბამისი სპეციალიზაციის კურსი, ეს კურსი მოიცავს მსხვერპლთან ურთიერთობის ფსიქოლოგიურ ასპექტებს და ყველა იმ საჭირო უნარ ჩვევების გამომუშავებას, რომელიც საჭიროა ძალადობის მსხვერპლთან მუშაობისა და მათი დროული და ეფექტური დახმარებისთვის.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებეს შორის, რომელსაც ახორციელებს საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, მნიშვნელოვანია მოძალადეთა ქცევის კორექციის ღონისძიებები.

მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამები ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის ყოვლისმომცველი მიდგომის ნაწილს წარმოადგენს და მოიცავს მოძალადეთა ცნობიერების ამაღლებას, მათ დახმარებას ისეთი პრობლემების მოგავრებაში, როგორიც არის ნარკოტიკებზე დამოკიდებულება, ალკოჰოლზე დამოკიდებულება და ა.შ. რაც საბოლოოდ გვევლინება, როგორც ძალადობის მაპროვოცირებელი ფაქტორი.

დასკვნა

ქალისა და მამაკაცის უფლებებსა და შესაძლებლობებს შორის უთანასწორობის აღმოფხვრა ქვეყნის განვითარებისთვის ერთ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ქართული საზოგადოება თანდათან იწყებს ქალთა მიმართ ძალადობაზე ღიად საუბარს.

არსებული კვლევებისა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ აშკარაა უთანასწორობა ქალსა და მამაკაცს შორის ჩვენს საზოგადოებაში, უთანასწორობა არის შრომის ანაზღაურებაში, დასაქმების მაჩვენებლებში, აღმასრულებელ ხელისუფლებაში და ა.შ. რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

ძალადობა არის ძალის აშკარა ან ფარული გამოყენება ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიმართ, ისეთი რამის მისაღწევად, რასაც ისინი თავისი ნებით არასოდეს დათანხმდებოდნენ. ადამიანისთვის მისი ნებისმიერი უფლებისა თუ თავისუფლების შეზღუდვა პირდაპირ არის ძალადობა და უნდა იყოს დაგმობილი, როგორც კანონის ასევე საზოგადოების მხრიდან. უკანასკნეული ორი ათწლეულის მანძილზე საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა, კონფლიქტებმა, სოციალურმა სიდუხჭირემ ხელი შეუწყო ძალადობრივი ქმედებების გახშირებას. საზოგადოებაში მორალური ღირებულებებისა და ინდივიდუალიზმის პატივისცემამ

იკლო.[52] თვითგადარჩენის ინსტიქტი და საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფა, სახელმწიფოს მხრიდან სათანადო დაუსჯელობის ფონზე, გახდა ერთგვარი ხელშემწყობი მოძალადეებისთვის.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი გასატარებელი ღონისძიებებიდან შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი: ცნობიერების ამაღლება ქალებში და მთლიანად საზოგადოებაში. ქალებმა უნდა იცოდნენ ყველაფერი საკუთარი უფლებების შესახებ და ზოგადად, საზოგადოებამ უნდა აღიაროს, რომ ქალებს გააჩნიათ თანაბარი უფლებებიც და შესაძლებლობებიც, და რომ სქესი არ განსაზღვრავს ადამიანის მდგომარეობას და სტატუსს.

გენდერული თანასწორობის მისაღწევად აუცილებელია საზოგადოებაში იმ აზრის გაღვივება, რომ ძალადობა ნებისმიერი სახით არის დასჯადი, ადამიანებმა უნდა გამოუცხადონ ბრძოლა ნებისმიერ დისკრიმინაციული, ძალადობრივი ხასიათის ქმედებას და მსგავსი ქმედებები არამხოლოდ მსხვერპლის, არამედ საკუთარ პრობლემად უნდა მიიჩნიოს.

ქალებისთვის ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად მნიშვნელოვანია განათლებისა და განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, სახელმწიფოს ჩართულობა არამხოლოდ ძალადობის მსხვერპლის მიერ მიმართვიანობის მომენტში, მხოლოდ მოძალადის დასჯით განისაზღვოს, არამედ ძალადობის მსხვერპლს უნდა გაეწიოს დახმარება შემდგომ განვითარებაში და დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის შესაბამისი უნარ ჩვევების გამომუშავებაში.

ძალადობის მსხვერპლი ქალების უმრავლესობის დიდ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ მათ არ გააჩნიათ საკუთრება და ხშირად თავშესაფრის არქონის გამო ხდებიან მუდმივად ძალადობის ობიექტები. ამ მიმართულებით სახელმწიფომ უნდა მოახერხოს მათთვის არამხოლოდ დროებითი თავშესაფით

[52] ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია(სამუშაო ვერსია)

უზრუნველყოფა, არამედ გაუწიოს დახმარება ქონდეთ საცხოვრებელი და დასაქმების შესაძლებლობა.

ქალთა მიმართ ძალადობას საქართველოში მრავალი ფაქტორი იწვევს და უთანასწორობასაც ღრმა ფესვები აქვს, ამიტომ აუცილებელია ძალადობის გამომწვევი მიზეზების გამოაშკარავება და მათთან ბრძოლა პირველ რიგში, ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მოძალადეთა შემდგომ რეაბილიტაციას, რადგან მხოლოდ დასჯა ვერ იქნება გამოსავალი. საჭიროა მათი მენტალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესწავლა და დახმარება თვალსაწიერის გაფართოებაში. მოძალადის რეაბილიტაცია მნიშვნელოვნად შეამცირებს ძალადობის შემთხვევებს ქვეყანაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1) ადამიანის უფლებების საბჭოს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისიის განცხადება 2020/07/09

2) ძალადობის მსხვერპლი ქალების ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე. ადამიანის უფლებათა ინტერ ამერიკული კომისია, ანგარიში.2007. https://rm.coe.int/methodology-womens-access-to-justice-geo-pgg/16809c8285

3) ასლანიშვილი, თ. ქალთა მიმართ ძალადობა, მოქმედი ფაქტორები და არსებული გამოწვევები. თბ., 2019.

4) გაეროს ქალთა ორგანიზაციის ონლაინ კამპანია - „ გულგრილობის ვირუსი კლავს“, (აღინიშნება 1990-იანი წლებიდან). https://eu4georgia.ge/ka

5) გაეროს ქალთა ორგანიზაცია, მსოფლიო ქალთა პროგრესი. თბ., 2019-2020.

6) საქართველო და ევროკავშირი განვიტარებისა და რეფორმების კვალდაკვალ. http://cdd.ge/uploads/files/2020-09/1599662942_saqarthvelo-da-evrokavshiri-ganvitharebisa-da-reformebis-kvaldakval-2016-1-compressed-1.pdf

7) ჯაფარიძე.ე. „გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება საქართველოში ქალთა ორგანიზაციის მიერ“, 2012.

8) კვლევის ანგარიში, საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში, გამოცემულია გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ფინანსური მხარდაჭერით, თბ 2013.

9) მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებლები(დასაქმება და უმუშევრობა) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2020. https://www.geostat.ge/media

10) მოჰანი.ვ,რაიანი.კ,ბაიბლერი,ს. გენდერული თანასწორობა დასაარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოები. საუკეთესო გამოცდილების საღელმძღვანელო.2014.

11) სტენლი. ნ. და სხვები, მამაკაცების საუბარი და განწყობები: ჰალის ოჯახური ძალადობის კონტექსტში სოციალური მარკეტინგის ინიციატივის მიდგომების კვლევა.2009.

12) ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრის) მონიტორინგის ანგარიში

13) პატარაია.ლ. „ქალების როლი ეკონომიკაში - თანამედროვე ტენდენციები“, თებერვალი 2014. https://forbes.ge/qalebis-roli-ekonomikashi/

14) რ. კუკი და ს. კიუზაკი, გენდერული სტერეოტიოპებიოს ჩამოყალიბება: ტრანსნაციონალური სამართლებრივი პესპექტივები, პენსილვანიის უნივერისტეტის გამომცემლობა.

15) სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს 2019 წლის საქმიანობის ანგარიში. http://www.csb.gov.ge/media

16) სამოქალაქო განათლება ყველასთვის, გენდერული როლები და ადგილი ოჯახში. https://www.civiceducation.ge/ka/lessons/4-38

17) საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.თბ.2020

18) საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.თბ.2019.

19) ქალი და კაცი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი, 2019. https://www.geostat.ge/ka/single-archive/3332

20) ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში,საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში 2015.

21) ქალი და კაცი საქართველოში, ტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი 2020. https://www.geostat.ge/ka/single-news/2165/kali-da-katsi-sakartveloshi-2020

22) ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, 2017. https://www.geostat.ge/ka/single-categories/126/kalta-mimart-dzaladobis-erovnuli-kvleva-sakartveloshi.

23) ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, თბილისი 2010. ქალთა „ მიმართ ძალადობის აღმოფხვრა.“

https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/GBV%20DV%20Survey_Geo.pdf

24) „ქალთა მიმართ ძალადობის დასრულება“, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, სტატ. https://www.unwomen.org/en/what-we-do/ending-violence-against-women

25) ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია (სამუშაო ვერსია) https://police.ge/files/pdf/dzaladobis%20strategia%20saitze%20dasadebi.pdf

26) საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მიმართვა სახელმწიფო უწყებებს. სტატ. ელ. ჟურნალი, საქართველოს ახალი ამბების სააგენტო, პოლიტიკა, 2019, 8 მარტი.

27) UN Department of Public Information, 2009. https://www.un.org/youthenvoy/2013/09/dpi-department-of-public-information/

28) World Health Organization, COVID-19 and violence against women, 2020; UN Women, COVID-19 and Ending Violence Against Women and Girls

საკანონმდებლო აქტები

29) ევროსაბჭოს კონვენცია, 2011.

30) ესტერი.მ. სარა-ჯეინ ლილეი. ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია: სტამბოლის კონვენციის მე-12 მუხლი (დოკუმენტების კრებული ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციით განსაზღვრულ ასპექტებზე)

31) საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ

32) საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე 2016-2018. მომზადებული და გამოცემულია „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის“ (NCCE) მიერ. თბ., 2019